# საერთო გაზეთი

№14 (653)
ოთხშაბათი
20 აპრილი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.


# საქართველო – მშვიდობის სახლი!






საქართველოსთვის მთავარი პრიორიტეტი მშვიდობაა, ახლაც და მომავალშიც! საქართველო უარს ამბობს პრობლემების ომის გზით მოგვარებაზე ახლაც და მომავალშიც! საქართველოში არანაირი მეორე თუ მესამე ფრონტი არ გაიხსნება, არც ახლა და არც მომავალში!



## სოსო ცინცაძე: სად მოძებნეს ამდენი დეგენერატი, თავიანთ თავს ანალიტიკოსებს რომ ეძახიან და თვალში ნაცარს რომ გვაყრიან

## ჰამლეტ ჭიპაშვილი: ჩემი აზრით, რუსეთი მალე მოახდენს მთელი ძალების მობილიზებას და ამ ომს წერტილს დაუსვამს





**შოთა გლურჯიძე:** რუსეთ-უკრაინის ომი – აბელისა და კაენის ბიბლიური სიუჟეტის თანამედროვე ვარიანტია



## მირონ ხერგიანი: „ვესტერნობანა“ ნაცურად

## „საიდუმლო სირობა“ ბაკურიანში



ვინ არის და რას წარმოადგენს „ნაციონალ-ების“ ახალი „მოძღვარი“ პიტერ აკერმანი?!

## მოახდენს თუ არა გავლენას რუსეთ-უკრაინის ომი მსოფლიოს საომარ კონფლიქტებზე

## ტელებარიგები, ტელეკიკუები და ფსიქიატრიულ საავადმყოფოდ გადაკეთებული ქვეყანა

## უმადურობის სინდრომი



კაცო, მიქელ-გაბრიელი რომ მოგადგა ცელით და ბიძინა ივანიშვილმა უკან გაგიბრუნა, რა ნამუსით აგინებ, არ გრცხვენია?!

## „საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის



# საქართველო – მშვიდობის სახლი!

**საქართველოსთვის მთავარი პრიორიტეტი მშვიდობაა, ახლაც და მომავალშიც! საქართველო უარს ამბობს პრობლემების ომის გზით მოგვარებაზე ახლაც და მომავალშიც! საქართველოში არანაირი მეორე თუ მესამე ფრონტი არ გაიხსნება, არც ახლა და არც მომავალში!**

ვახტანგ ხარჩილავა

რაც დღეს საქართველოში ხდება, ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა ხელისუფლებისა და მოსახლეობის დიდი უმრავლესობის პოზიცია აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს.

ხელისუფლება მტკიცედ და პრინციპულად იცავს ქართული სახელმწიფოს ეროვნულ, სახელმწიფო ინტერესებს და მიუხედავად სხვადასხვა ძალების მუდმივი ზეწოლისა და წნეხისა, მას ერთი წუთით არ გადაუხვევია ერთხელ არჩეული გზიდან და რაიმე სახის კომპრომისზე არ წასულა.

ამ უაღრესად რთულ და არეულ სიტუაციაში, როცა მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო ლამის ნახევარი მსოფლიო ერთი საერთო პლატფორმის გარშემო ერთიანდება, უაღრესად ძნელი და სარისკოა, შენი სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესებიდან გამომდინარე, მიიღო განსხვავებული გადაწყვეტილება და მერე ეს გადაწყვეტილება უშიშრად დაიცვა, დაიცვა და არ შეგეშინდეს იმის, რომ ამას შეიძლება შენი პოლიტიკური კარიერა შეეწიროს.

მძულს, როცა დაუმსახურებლად ვიღაცას აქებენ და ადიდებენ, მაგრამ ისიც ძალიან ცუდია, როცა უმადურობას იჩენ და მას, ვინც პატივისცემის ღირსია, პატივს არ მიაგებ, ღვაწლს, შრომას, ამაგს, თავდადებას არ დაუფასებ.

დაუნახაობა ჰქვია ამას ჩვენებურად, დაუნახაობა და უმადურობა კი ორი ისეთი მავნებლური თვისებაა, რომელიც ადამიანებს კარგი საქმეების კეთების სურვილს და მოტივაციას უკარგავს.

ამიტომაც ვთვლი აუცილებლად, ვთქვა ის, რასაც ახლა ვიტყვი: **საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯები ნამდვილი გმირობაა, გააზრებული და გაცნობიერებული თავგანწირვაა ქვეყნის გადასარჩენად.**

ირაკლი ღარიბაშვილმა შესანიშნავად იცოდა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის განცხადებებს, მის მკვეთრ და შეუვალ პოზიციას, რომ საქართველო არ შეუერთდება სანქციებს, საქართველოში არ გაიხსნება მეორე ფრონტი, საქართველო არ ჩაერთვება იმ ომში, რომელიც კატასტროფული შედეგებით დამთავრდება ჩვენი ქვეყნისთვის.

დიახ, მან იცოდა, რა მკვეთრი და ხისტი რეაქციები მოჰყვებოდა მის ამ ყველასათვის მოულოდნელ საქციელს, მაგრამ მას არ უფიქრია მოსალოდნელ შედეგებზე, არ უფიქრია საკუთარ მომავალზე და გააკეთა ის, რაც ქვეყნისთვის საჭირო და სასარგებლო იყო.

ეს თუ არ არის გმირობა, აბა, სხვა რა არის?

ეს თუ არ არის თავგანწირვა, აბა, სხვას რას ჰქვია თავდადება და თავგანწირვა?

**ბევრი იბრალებს პატრიოტობას და ვაჟკაცობას საქართველოში, ბევრი იბრაგუნებს მუშტს მკერდზე, მაგრამ, საქმე საქმეზე რომ მიდგება, იმის გამკეთებელი, რაც ირაკლი ღარიბაშვილმა გააკეთა, ძალიან ცოტაა.**

სხვა ვინმე რომ ყოფილიყო მის ადგილზე, ჩვენ ახლა გაგანია ომში ვიქნებოდით, ან, უფრო ზუსტად, საერთოდ არ ვიქნებოდით...

ასეთი სახელმწიფო მოღვაწე შექებითაც უნდა შეაქო და მხარიც უნდა დაუჭირო, რადგან მისთვის მხარდაჭერა საკუთარი თავისთვის და, რაც მთავარია, შენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და გადარჩენისთვის მხარდაჭერაცაა.

**არა მარტო ირაკლი ღარიბაშვილი, არამედ „ქართული ოცნების“ მთელი სახელისუფლო გუნდი, განსაკუთრებით მისი განახლებული შემადგენლობა, საუკეთესოა ყველა იმ მთავრობას შორის, რაც კი 2012 წლიდან საქართველოს ჰყოლია.**

ეს სიმართლეა, ეს სინამდვილეა, ეს ეროვნული მნიშვნელობის უდიდესი ღირებულება და ფასეულობაა, რომელსაც ქართველი ერი უნდა გაუფრთხილდეს და თუ საჭირო გახდება, უნდა დაიცვას და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას, რომ ჩვენმა ავისმოსურნეებმა ან ირაკლი ღარიბაშვილის, ან მისი მთავრობის პოლიტიკური ასპარეზიდან გაშვება მოინდომოს.

არადა, ამის მსურველები როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით საკმაოდ არიან.

ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობენ „ნაცმოძრაობის“, ანუ, როგორც მათ მეორენაირად ვუწოდებთ, „ომის პარტიის“ წარმომადგენლები, თუმცა **უფრო მართებული იქნება, „ნაცმოძრაობას“ ომის პარტია კი არა, მოღალატეთა პარტია ვუწოდოთ**, რადგან, რასაც ისინი წლებია აკეთებენ, წმინდა წყლის ქვეყნის ღალატია და ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი არსებობს.



ერთ გარემოებას მინდა მივაპყრო თქვენი ყურადღება, რომელზეც გამოკვეთილად აქამდე არავის უსაუბრია.

ვფიქრობ, „ნაციონალური მოძრაობა“ არ არის მხოლოდ ადგილობრივი, ლოკალური მნიშვნელობის და მასშტაბების პარტია. ის ნაწილია თავიანთი ქვეყნების მოღალატეთა დიდი საერთაშორისო ინტერნაციონალური ორგანიზაციისა, რომელიც ერთი წერტილიდან, ერთი პულტიდან იმართება.

დიახ, ეს პროფესიონალ მოღალატეთა საერთაშორისო პარტიაა, ერთი მთლიანი ორგანიზმია.

ამიტომაც, სულაც არ არის გასაკვირი, როცა, ვთქვათ და, უკრაინაში კრიმინალური წარსულის ქართველი ნაციონალების მთელი ბრიგადა მოღვაწეობს, დაწყებული პოროშენკოს პერიოდიდან და დამთავრებული ზელენსკის „ეპოქით“.

ჩვენი შეცდომა ის არის, რომ ჩვენ ხან პოროშენკოს ვედავებოდით და ხან ზელენსკის ვსაყვედურობთ, რატომ აქციეს უკრაინა კრიმინალი ნაცების თავშესაფრად და რატომ ნიშნავენ მათ მაღალ თანამდებობებზე.

ჩვენ მართლა სერიოზულად გვჯერა, რომ სააკაშვილი პოროშენკომ დანიშნა ოდესის გუბერნატორად, რომელმაც ნაცების მთელი ბრიგადა წაიყვანა თან და სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე გადაანაწილა?

ჩვენ მართლა სერიოზულად გვჯერა, რომ სააკაშვილი ზელენსკიმ გაამწესა რეფორმების საბჭოს თავმჯდომარედ, ადეიშვილიც მან ამოირჩია მრჩევლად და „ბოროტაც“ მან აღაზევა კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსის მოადგილედ?

ჩვენ გვიკვირს, რატომ, რა უფლებით ელაპარაკება საქართველოს ვინმე ზელენსკი, ვინმე არახამია, ვინმე კულება, ვინმე დანილოვი ასეთი აგდებული ტონით, რატომ, რა უფლებით გვაყენებენ შეურაცხყოფას, რატომ გვდებენ ბრალს ათას საძაგლობაში?

ჩემგან ჩამოთვლილი „ამხანაგები“ კი არა, ის ძალა გველაპარაკება ამათი პირით, რომელიც მოღალატეთა ამ ინტერნაციონალური პარტიის უკან დგას.

საქართველოშიც იმიტომ ბევრი ბევენ ამდენს პირსისხლიანი ნაცები, რომ მათ უკანაც ის ძალა დგას, რომელიც ნაცების უკრაინელ კოლეგებს უმაგრებს ზურგს.

როგორც ვთქვი, ეს ერთი პარტიაა, მოღალატეთა და საკუთარი ქვეყნების გამყიდველთა პარტია, სულგაყიდულთა პარტია, რომელიც მზად არის, ნებისმიერი დაკვეთა მოიყვანოს სისრულეში, ნებისმიერი დირექტივა და ინსტრუქცია შეასრულოს, რომელსაც „ცენტრი“ უბრძანებს.

აი, ეს ძალა უპირისპირდება დღეს საქართველოს ხელისუფლებას და, მასთან ერთად, ქართველი ხალხის უმრავლესობას, რომელიც, როგორც ვთქვი, აბსოლუტურად ეთანხმება საქართველოს ხელისუფლების პოზიციას, უფრო ზუსტად, საქართველოს ხელისუფლება ქართველი ხალხის უმრავლესობის ნებას, მისგან ნაკარნახევ მოთხოვნებს იცავს და ახმოვანებს.

**ხელისუფლებამ უნდა დაიცვას თავისი ხალხი, მაგრამ ასევე ხალხმაც უნდა დაიცვას თავისი ხელისუფლება და ათასნაირი ჯურის ვიგინდარებს და ავაზაკებს მისი უსამართლოდ ლანძღვა-გინების, მისი დევნის და შევიწროების უფლება არ უნდა მისცეს!**

●

საქართველო გზაჯვარედინია, გზაჯვარედინს კი ორი ფუნქცია აქვს — ერთი გზათა გაყრისა და განშტოებისა, მეორე გზათა შეკრებისა.

საქართველო ცივილიზაციათა და კულტურათა შემკრები და გამაერთიანებელი გზაჯვარედინია.

ჯვარი — ჩვენი ბედისწერა, ჩვენს გეოპოლიტიკურ მდებარეობაშიც თავის განსაკუთრებულ



მნიშვნელობას ინარჩუნებს თითქოს.

ჩვენ გეოპოლიტიკურ ჯვარზე გაკრული ქვეყანა ვართ, ჯვარი ჩვენი ბედისწერაა.

საქართველო არა მარტო გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური, არამედ გეოკულტურული გზაჯვარედინია, სადაც ოდითგანვე ხდებოდა სხვადასხვა კულტურათა ერთად შეყრა და ურთიერთზემოქმედება, რასაც არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ქართველი ერის ხასიათზე და კულტურაზე.

მართალია, დღემდე სამოქმედო ლოზუნგად გვაქვს წინ წამძღვარებული ცნობილი ფორმულა: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“, თუმცა, ჩემი აზრით, ეს ფორმულა, რბილად რომ ვთქვათ, სინამდვილეს არ შეესაბამება.

ჩვენში, ცხადია, ბევრია ევროპული, მაგრამ ასევე ბევრია აზიური, ისე, როგორც ბევრია ზოგადკავკასიური შტრიხები.

ქართული იდენტობა, ქართული კულტურა, იმდენად სინთეზური ხასიათისაა, რომ გამოკვეთილად ვერ იტყვი, რომელია ჩვენს ბუნებაში უფრო მეტი ან უფრო ნაკლები.

**მე ვარ ქართველი, ნიშნავს, რომ მე ვარ ქართველი, ყოველგვარი მაშასადამეს გარეშე.**



ჩვენ კულტურათა და ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე დაბადებული და ამ გზაჯვარედინზე გაზრდილი ერი ვართ, რომელმაც ბევრი რამ შევითვისეთ, ბევრი რამ შევისისხლხორცეთ სხვებისგანაც ისე, რომ არ დაგვიკარგავს ჩვენი სახე, ჩვენი თავისთავადობა, ჩვენი განსხვავებულობა.

სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით საკუთარი თავის შესახებ, იმ უძველესი ფესვების და ისტორიული ნიადაგის შესახებ, საიდანაც მოვდივართ, თორემ, უფრო მეტი პატივისცემით და სიამაყით განვეწყობოდით საკუთარი თავის მიმართ, რადგან ჩვენ ერთ-ერთი უძველესი და, ამავე დროს, ბევრი რამით უნიკალური ერი ვართ მთელ მსოფლიოში.

ჩვენი მეზობლები (არამეზობლებიც) ყალბ ისტორიებს თხზავენ თავიანთი განსაკუთრებულობის შესახებ, ჩვენ კი არაფრის შეთხზვა და არაფრის გამოგონება არ გვჭირდება, ისე შეგვიძლია წარმოვაჩინოთ ჩვენი ქვეყანა მსოფლიო საზოგადოების წინაშე, როგორც ამ საზოგადოების თვალსაჩინო და ღირსეული წევრი, თუმცა ამის გაკეთებას ფართოდ და სრულყოფილად მაინც ვერ ვახერხებთ.

ამიტომაც არის, ვიღაც-ვიღაცები ზემოდან რომ დაგვყურებენ და იმას გვასწავლიან, რაც ჩვენ მათზე საუკუნეებით ადრე ვიცოდით.

ჩვენ დღემდე ვერავის ავუხსენით და ვერავის გავაგებინეთ — ვერც რუსებს, ვერც ამერიკელებს, ვერც ევროპელებს, რომ ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ნუ გვიყურებენ როგორც მათთვის ხელსაყრელ და მომგებიან პლაცდარმს, არამედ შემოგვხედონ, როგორც კულტურათა და ცივილიზაციათა შეკრების ადგილს, როგორც სხვადასხვა ეროვნების ადამიანების მშვიდობიანი თანაარსებობის, თანაცხოვრებისა და მეგობრობის ღია მუზეუმს.

●

ალბათ, ძალიან ცოტა სახელმწიფომ თუ იცის მსოფლიოში, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც მისი არსებობის მანძილზე არავინ არასოდეს არ უდევნიათ და არ შეუვიწროებიათ ეროვნული წარმომავლობის თუ რელიგიური მრწამსის გამო?!

ეს ხდებოდა მაშინ, როცა დემოკრატიის აკვანი, ამერიკა, არ არსებობდა, არც გაერო, არც ევროკავშირი, არც ადამიანის უფლებათა დეკლარაცია იყო დაწერილი, ხოლო ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოში, რომელიც დღეს ჰუმანიზმის გაკვეთილებს გვიკითხავს, ადამიანებს ცოცხლად წვავდნენ კოცონზე.

ევროპაში მხოლოდ მე-20 საუკუნის ათიან წლებში შეძლეს ქალებმა დიდი ბრძოლისა და ძალისხმევის შედეგად მიეღწიათ იმისთვის, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეღოთ, საქართველოში კი ცხრა საუკუნის წინათ ითქვა ეს გენიალური ფრაზა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

მხოლოდ საქართველოში თუ გაიგონებთ ამ საოცარ სიტყვებს: დედაკაცი, დედაბოძი, დედამიწა, დედაენა და ა. შ.

სახელმწიფოში, სადაც დედაა მიჩნეული ქვეყნის ეპიცენტრად და დედაბოძად, ცხადია, მეტი სიყვარულია, მეტი მიმტევებლობაა, მეტი ადამიანურობაა.

ამიტომაც მიდიან საქართველოდან ქართველი კაცის გულწრფელი კეთილგანწყობით, ადამიანთმოყვარეობით სასიამოვნოდ გაოცებული და გაკვირვებული უცხოელები, მიდიან და ისევ დაბრუნება უნდათ, როგორც ოდესღაც მიტოვებულ და დავიწყებულ მშობლიურ სახლში.

მკვლევართა და სწავლულ კაცთა დასკვნით, რომელთა შორის უმრავლესობა ევროპელია, კავკასია და, კერძოდ, საქართველოა სწორედ ის ადგილი, სადაც




დაირწა კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი.

შეიძლება ეს ვერსიაა, ჰიპოტეზაა, მაგრამ თუნდაც როგორც ვერსია და ჰიპოთეზა, რატომ არ არის იგი, საქართველოს შიგნით თუ საქართველოს გარეთ, მსჯელობის თუ დისკუსიის საგანი?

●

საქართველოს ისტორია მუდმივი ომების ისტორიაა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველი ერი სისხლისმოყვარე ერია, რომელსაც ომის გარეშე გაძლება არ შეუძლია.

ჩვენ სულ თავს ვიცავდით ათასი ჯურის მოძალადისა და დამპყრობლისგან, ამიტომაც იძულებული ვიყავით, გვეომა და საკუთარი ქვეყანა დაგვეცვა, თორემ, სინამდვილეში, ბევრი მეგობარი ერისგან განსხვავებით, ქართველი ერი მშვიდობისმოყვარე, ტოლერანტული ბუნების ერია, მიწათმოქმედი ერია.

ახლა ერთ უცნაურ რაღაცას ვიტყვი, რომელიც შეიძლება ბევრს ეხამუშოს და გადაჭარბებულ ნათქვამად მოეჩვენოს: ის, რომ საქართველოსთვის მთავარი პრიორიტეტი მშვიდობაა, მხოლოდ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ჩამოყალიბდა სახელმწიფოს განვითარების მთავარ კონცეფციად, გნებავთ, მთავარ იდეოლოგიურ მიმართულებად, რისი წყალობითაც საქართველო ათი წელია, ინარჩუნებს მშვიდობასა და სტაბილურობას.

საქართველოს მთავრობის არაერთი განცხადება, გამოთქმული კატეგორიული და პრინციპული ფორმით, არ არის მხოლოდ კონკრეტული გარემოებების საპასუხოდ ნათქვამი დროებითი გამოყენების ფრაზა, ეს არის იმ კონცეფციის ნაწილი, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ: **საქართველოსთვის მთავარი პრიორიტეტი მშვიდობაა, ახლაც და მომავალშიც. საქართველო უარს ამბობს პრობლემების ომის გზით მოგვარებაზე ახლაც და მომავალშიც. საქართველოში არანაირი მეორე თუ მესამე ფრონტი არ გაიხსნება, არც ახლა და არც მომავალში.**

ვინც არ უნდა დაგვაძალოს, ვინც არ უნდა გვთხოვოს თუ მოგვთხოვოს, საქართველო არავითარ შემთხვევაში არ ჩაებმება არანაირ ომში — ეს არის არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების, არამედ ქართველი ხალხის მტკიცე და ურყევი გადაწყვეტილება.

ჩვენ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, ამ ოცდაათი წლის განმავლობაში, გასული საუკუნის 90-იან წლებში და 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში, ძალიან მწარე გამოცდილება მივიღეთ და დავრწმუნდით, რომ ომი არ არის ის გზა, რომლითაც საქართველოს თავისი მტკივნეული პრობლემების გადაჭრა შეუძლია.

ომი არა მარტო საქართველოსთვის, არამედ არავისთვის, არც ერთი სახელმწიფოსთვის არ არის პრობლემების გადაჭრის ერთადერთი და ულტერნატივო საშუალება.

ომი პრობლემებს კი არ აგვარებს, არამედ ძველ პრობლემებს ახალს ამატებს და ისეთ სირთულეებს უქმნის ომში მონაწილე მხარეებს, რომელთა გადაჭრა ომით შეუძლებელია, სანამ საქმეში ზავი და მშვიდობა არ ჩაერევა.

ადრე თუ გვიან კაცობრიობა აუცილებლად მივა იმ დასკვნამდე. რომ ომი პარანოიაა, სიგიჟის და შეშლილობის უმძიმესი ფორმაა, რომელზეც კაცობრიობამ კატეგორიულად თუ არ თქვა უარი, ის ამ ომებს შეეწირება და არსებობას შეწყვეტს.

იმათ საყურადღებოდ, რომლებიც საქართველოს ომისკენ უბიძგებენ და ამას ისე არხეინად აკეთებენ, თითქოს საქართველოს ამ ომის მოგება უკვე გარანტირებული ჰქონდეს.

როგორც ვთქვით, ომის პარტია კი არა, მოღალატეთა პარტია უდგას სათავეში ამ მავნებლობას, რომლებსაც არ შეიძლება გაცნობიერებული არ ჰქონდეს, რომ საქართველო დღეს ომისთვის უუნარო და უპერსპექტივო ქვეყანაა, არა იმიტომ, რომ ქართველებს მხედრული ჟინი და ვაჟკაცობა აკლიათ, არამედ იმიტომ, რომ საქართველო იმდენად პატარა ტერიტორიაზე მდებარეობს, რომ, ღმერთმა დაგვიფაროს და, მისი განადგურება რამდენიმე რაკეტით შეიძლება.



ვინც ომისკენ გვიბიძგებს, იმათ ავიწყდებათ, რომ ხმლით და შუბით არ ომობენ დღეს, როცა ერთი ქართველი ათ კაცს უმკლავდებოდა.

წავიდა ის დრო, სხვა რეალობაში ვცხოვრობთ დღეს, სხვა ტექნოლოგიების ეპოქაში ვცხოვრობთ და ჩვენისთანა მცირერიცხოვანმა ერებმა წარსულის გმირულ-ჰეროიკული მოგონებებით კი არა, დღევანდელობის შესაბამისად უნდა ვიცხოვროთ, რომ როგორმე გავუძლოთ და გადავრჩეთ.

ძალიან მალე ხომ არ დაგვავიწყდა, როგორ გადაწყვიტა ერთ დღეში ადმირალ ბალტინის ერთმა სამხედრო გემმა, რომელიც კრავჩუკმა ათხოვა მეგობარ შევარდნაძეს, სამოქალაქო დაპირისპირების ბედი შევარდნაძისტების სასარგებლოდ.

იდგა ფოთში ბალტინი და თავისუფლად შეეძლო დასავლეთ საქართველოს ნებისმიერი წერტილი დაებომბა და, რამდენადაც მახსოვს, რამდენიმე ადგილი დაბომბა კიდევაც.

დაახლოებით იგივე მოხდა 2008 წლის აგვისტოშიც.

ხუთდღიანი ომიო, კი ვამბობთ, მაგრამ, ფაქტობრივად, ერთ დღეში დამარცხდა საქართველო ამ ომში.

რაიმე რომ მოხდეს, ახლაც იგივე განმეორდება, ოღონდ გაცილებით მძიმე და საბედისწერო შედეგებით.

აქ რომ მეორე ფრონტი გაიხსნას, ამას საქართველო შეეწირება და ეს იცის ყველამ — მოღალატეთა პარტიამაც, სხვადასხვა სახელმწიფოების ელჩებმა, ნატომ, ევროკავშირმა და, რაც მთავარია, იცის ქართველმა ხალხმა.

შეიძლება ამას ვერ ხვდებიან ის დაბოლილი გოგო-ბიჭები, რომლებსაც ხან ერთი ავანტიურისტული პოლიტიკური ძალა იყენებს „მასოვკად“, ხან მეორე, მათ ისტერიულ ღრიანცელს კი ქართველი ხალხის ნებად და სურვილად ასაღებენ ნაცების ჯიბის ტელევიზიები, მათ კონტროლს დაქვემდებარებული სხვა მედიასაშუალებები, მათი ჯიბიდან გამოკვებილი არასამთავრობოები.

**საქართველოს მტრებო, ტყუილად გაქვთ ამის იმედი — საქართველო „პლანაქეშების“, ავანტიურისტების, პროვოკატორების, უცხო სახელმწიფოთა ჯაშუშების და აგენტების, ჩვეულებრივი ბიჟებისა და ფსიქოპათების ჭკუაზე არ გაივლის.**

**საქართველოში ომი არ იქნება არც ახლა და არც მომავალში!**

# სად მოძებნეს ამდენი დეგენერატი, თავიანთ თავს ანალიტიკოსებს რომ ეძახიან და თვალში ნაცარს რომ გვაყრიან

*გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:*

**— ბატონო სოსო, ვისი ომი მიმდინარეობს უკრაინის ტერიტორიაზე?**

— რეალურად, ფართო გაგებით, ეს გახლავთ არა რუსეთ-უკრაინის, არამედ რუსეთის ომი ცივილიზებულ დასავლეთთან. ომში, პრაქტიკულად, 131 ქვეყანა — მთელი დასავლეთი, ევროკავშირია ჩართული. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა რუსეთი ნახევარ ევროპას ებრძვის. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, ყირიმის ომის დროს, 1855 წელს რუსეთი ნახევარ ევროპას მარტო ებრძოდა. მაშინ, ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჰენრი პალმერსტონი იყო, რომელმაც საჯაროდ განაცხადა: ეს არის ცივილიზაციის ომი ბარბაროსების წინააღმდეგო. ნიკოლოზ I მაშინ აღმოაჩინა, რომ სრულებით მარტო იყო. ავსტრია, რომელიც რუსეთმა უნგრეთის აჯანყების ჩაქრობით გადაარჩინა,



უმადური აღმოჩნდა. მას მადლობაც კი არ უთქვამს. ასევე, გადაარჩინა პრუსია, თუმცა მადლობელი არც ის დარჩა. ამჯერად, ვითარებას დრამატულს დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები ხდის. სწორედ, სანქციები ასრულებს გადამწყვეტ როლს და არა უკრაინელი ხალხის გმირობა. ეს რესურსების ომია. კი, უკრაინელები გმირულად იბრძვიან, მაგრამ ისტორიაში ასეთი შემთხვევები ბევრია. ავიღოთ, იგივე, პოლონეთის აჯანყება, სადაც ეს ქვეყანა თავისთან შედარებით ათჯერ უფრო ძლიერ სახელმწიფოებს ებრძოდა. ასევე, ფინეთიც, რომელიც საბჭოთა კავშირს ებრძოდა. ეს, დავითისა და გოლიათის ბრძოლებივით იყო.

**— ბატონო სოსო, პუტინი უკრაინაში შეიჭრა, მაგრამ ეს უსაფუძვლოდ ხომ არ მომხდარა?**

— დიახ, ისმის კითხვა: რატომ, რისთვის დაიწყო მან ომი? რა იყო 15 დეკემბრის ულტიმატუმის მთავარი საკითხები? — ბუქარესტის სამიტის შედეგების უარყოფა, უკრაინისა და საქართველოს ნატოში არმიღება და ა.შ.. პრაქტიკულად, პუტინს აღმოსავლეთ-ევროპის ქვეყნების ნატოდან გასვლა სურს. დღეს, შედეგად რა მიიღო? — ივლისის ბოლოს მადრიდში ნატოს სამიტი უნდა ჩატარდეს და პრაქტიკულად, თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა, ფინეთი და შვედეთი ნატოში გაწევრიანებაზე განაცხადს გააკეთებენ. რა გამოდის? — დაწყებული ბალტიის ზღვიდან შავი ზღვის ჩათვლით, ფინეთიდან დაწყებული თურქეთით დამთავრებული, რუსეთის საზღვრებთან მთლიანად ნატოს ქვეყნები იქნებიან. პუტინს სურდა საქართველო და უკრაინა ნატოში არ გაწევრიანებულიყვნენ და აი, შედეგად რა მიიღო.

**— საქართველოს და უკრაინას ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა ჰქონდა?**

— არც საქართველოს და არც უკრაინის ნატოში მიღებას არავინ აპირებდა და არც აპირებს. გარდა იმისა, რაზეც ახლა ვისაუბრე, რუსეთმა შედეგად მიიღო სანქციები, რეპუტაციული დანაკარგები. ახლა, არც მე-19 და არც მე-20 საუკუნის შუა პერიოდია, როცა კაცობრიობა რაღაცებს ეგუებოდა. დღეს, უკრაინაში, უკვე, ბაიდენიც გეგმავს ვიზიტს. ახლახან, იქ,



ოთხი ქვეყნის პრეზიდენტი ჩავიდა. საუბრობენ, რომ რუსეთი ჰააგის სასამართლოს ვერ ასცდება.

რუსეთში რთული სიტუაციაა. მას, უკვე, დამატებით, 2 მილიონი უმუშევარი ჰყავს, ეკონომიკა 11%-ით შემცირდა, დაყადაღებულია თანხები. სანქციების მთელი ეშხი ზაფხულსა და შემოდგომაზე გამოჩნდება. კი ბატონო, პუტინს შეუძლია 9 მაისამდე ხარკოვი აიღოს და ეს მოვლენა რუს მოსახლეობას ისე მიჰყიდოს, როგორც გამარჯვება. საქმე ისაა, რომ რაც უფრო მეტად ბომბავს რუსეთი სხვადასხვა ქალაქებს, მით მეტ იარაღს აწვდიან უკრაინას 131 ქვეყნიდან. ბრძოლის ველზე ცოცხალი ძალა არათანაბარია. რუსეთში 130 მილიონი მოსახლეა, უკრაინაში — 44. მნიშვნელოვანია, კიდევ რამდენ დღეს გაძლებს მარიუპოლი. მდგომარეობა რთულია. მთავარი მაინც ისაა, რომ დასავლეთმა ისეთი სანქციები დააწესა, რაც რეიგანის მერე აღარ ყოფილა. ასეთი რამ არასდროს მომხდარა — დღეს, ცივილიზებული მსოფლიო რუსეთის წინააღმდეგაა.

**— როგორ ფიქრობთ, როდის ან რა შედეგით დასრულდება ეს ომი?**

— ამის პროგნოზი ძნელია, რადგან რუსეთი მაინც რუსეთია. იგი წიაღისეულით უმდიდრესია, ხელწამოსაკრავი ქვეყანა ნამდვილად არ გახლავთ. დღეს, ერთიანი საბითუმო პროდუქტის 70% იმ ქვეყნებზე მოდის, რომელიც უკრაინას ეხმარებიან. მაგრამ ქვეყნები რომლებიც უკრაიანს ეხმარებიან, მოსახლეობის მხოლოდ 36%-ს შეადგენს. ინდოეთი და ჩინეთი, სადაც სამ მილიარდამდე მოსახლეობაა თან, ნეტრალურები არიან და თან, რუსეთთან თანამშრომლობას აგრძელებენ. ახლო მომავალში რა იქნება, ძნელი სათქმელია. ერთი კია, ამერიკა ჩინეთს დაემუქრა: ორ სკამზე ვეღარ იჯდები, ან ღიად რუსეთის მხარე დაიკავე ან ჩვენი, თორემ, სანქციებს დაგიწესებთო. ეს ჩინეთს არ აწყობს, რადგან იგი თავის პროდუქციას ევროპაში და ამერიკაში ყიდის. რუსეთში რა უნდა გაყიდოს? — ამიტომ, ჩინეთიც იძულებული იქნება კონკრეტული პოზიცია დაიკავოს. მთავარი, მაინც, ენერგომატარებლებზე ემბარგო გახლავთ, ვინაიდან დასავლეთი ერთი ხელით პუტინს ებრძვის — სანქციებს უწესებს, ხოლო მე-



ორე ხელით მას თვეში ერთ მილიარდ დოლარს აძლევს გაზის, ნავთობის და ქვანახშირის საფასურად. ნავთობის ემბარგო უფრო ადვილია. იმიტომ, რომ ამერიკას ნავთობის სტრატეგიული მარაგები აქვს, რასაც მსოფლიოში გაიტანს, რათა ფასები დაეცეს. ამიტომაც თქვა ღარიბაშვილმა: ფასების დაცემას ველოდებითო. ძირითადად, პრობლემა გაზის მიწოდების კუთხით არსებობს.

რუსეთი შანტაჟზე გადავიდა — ტაქტიკურ ატომურ ბომბს გამოვიყენებო. ეს გახლავთ ძალიან პატარა ბომბი, რომელიც მხოლოდ ბრძოლის ველის ტერიტორიაზე მოქმედებს. მაგრამ ახლა, ბრძოლები, ძირითადად, ქალაქებში ხდება და არა მინდორზე. დასავლეთი ამ შანტაჟს გაუძლებს?



მაკრონს 24 აპრილს მეორე ტური აქვს, ბაიდენს — ნოემბერში შუალედური არჩევნები. ასევე, ევროპის ექვს ქვეყანაში წელს არჩევნებია. მოსახლეობას თუ გაუჭირდა, იტყვის: გაზის ფული აღარ მაქვსო და მთავრობას გადააყენებს. პუტინს ეს პრობლემა არ აქვს — ომის დაწყების მერე, მისი რეიტინგი 20%-ით გაიზარდა მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში, უკვე, სიღარიბის პირველი შედეგები სახეზეა. მოსახლეობა მაინც მხარს უჭერს. მთავარია, პოლიტიკური ნება როგორი იქნება. თუ იმით ვიმსჯელებთ, რომ ჯერ კიდევ შარშან, ფინეთის და შვედეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგნი იყვნენ, დღეს, ამ ომის მერე, პირიქით, ამ ორგანიზაციაში შესვლას ითხოვენ. მათ, შეეშინდათ. აქამდე, ეგონათ, რუსეთი თავს არავის დაესხმებოდა. რაც შეეხება ომს, მაქსიმუმი ორი კვირა გადამწყვეტი იქნება. თუ კიევმა რუსეთის შეტევას ლუგანსკსა და დონეცკზე გაუძლო, მაშინ რეალობა მკვეთრად შეიცვლება. მთავარია მოტივაცია — რუს ჯარისკაცებს ომი არ უნდათ, უკრაინელები თავიანთი მიწისთვის იბრძვიან. ეს, ასე. ნაპოლეონი, რომელმაც რუსეთს მოუგო და ეგვიპტემდე ჩავიდა, სამაგიეროდ, ესპანელმა მწყემსებმა დაამარცხეს. იმიტომ, რომ ისინი თავიანთი მიწისთვის ომობდნენ და მოტივაცია ჰქონდათ.

**— ბატონო სოსო, თქვენ ახსენეთ, უკრაინას 131 ქვეყანა ეხმარებაო. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს მესამე მსოფლიო ომია?**

— როცა ხალხი ამ ტერმინს ახსენებს, ამაში, ფართომასშტაბიან ბირთვულ ომს გულისხმობს, სადაც ვერავინ გადარჩება. პუტინისთვის დამარცხება სიკვდილის ტოლფასია. საქმე იცით რაშია? — მან არ იცის რეალობა, საკუთარმა გარემოცვამ მოატყუა: უკრაინაში შევალთ, იქ დროშებით დაგვხვდებიან და ომს ერთ კვირაში მოვიგებთო. პუტინი გაცოფებულია. ის, თვით, სამღვდელოებამაც კი მოატყუა — რუსეთის პატრიარქი პირადად უცხადებდა: მთელი უკრაინის მოსახლეობა ჩვენს მხარეზეა, მათ შორის, მოსკოვის საპატრიარქოცო. გენერლები ეუბნებოდნენ: მთელი უკრაინა დროშებით დაგვხვდებაო. როგორც ამბობენ, იგივე, მედვედჩუკს პუტინმა 10 მილიარდი გადასცა, სიტუაციის მოსამზადებლად, უკრაინაში რუსების შესასვლელად. მან კი პარტია „ცხოვრებისთვის“ დააარსა. ასე იყო ნიკოლოზ I დროსაც ყირიმის ომში — როდესაც იგი დამარცხდა, ამის დაჯერება არ უნდოდა და ანგარიში მოითხოვა. მოუტანეს, წაიკითხა და გაცოფდა არსებული კორუფციით — პეტერბურგიდან რაც ყირიმში იგზავნებოდა, ყველაფერი გზაში იჭმეოდა. ახლაც ასე მოხდა — პუტინმა უკრაინაში სიტუაციის მოსამზადებლად მილიარდები დახარჯა, ყველაფერი ერთ კვირაში უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ... რუსეთში კორუფციის აღმოფხვრა შეუძლებელია. პუტინი სტალინი არ არის, რომ ასკეტი იყოს და ერთი დახეული შინელით და დაკერებული ფეხსაცმელით იაროს, მას კარგი ცხოვრება უყვარს. ამ ომის შემდეგ, უკვე, ევროპა ისეთი აღარ იქნება, როგორიც ადრე იყო, ეს ფაქტია. ასევე, რუსეთიც. დღეს, ყველა მთავრობა ცდილობს მომავალი განჭვრიტოს, რათა სამომავლო რეალიებთან შეგუების სამზადისი დაიწყოს.

**— როგორ ფიქრობთ, ომის თავიდან აცილება რამდენად შესაძლებელი იყო?**

— მოდით, განვიხილოთ, რა უძღოდა წინ ამ ომს. აქ, ბევრი ნიუანსია. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ პუტინმა, თავის დროზე, ფსონი იანუკოვიჩზე დადო. ეს სტრატეგიული შეცდომა იყო იმიტომ, რომ იანუკოვიჩი იდეურადაც კი არ იყო რუსეთის მომხრე, არამედ მეძროვე გახლდათ. იგი, ორჯერ იჯდა ციხეში გაუპატიუ-



6 გვ. →

# „საიდუმლო სიროზა“ ბაკურიანში

## ვინ არის და რას წარმოადგენს „ნაციონალების“ ახალი „მოძღვარი“ პიტერ აკერმანი?!

ეს რეები მესმის? ე.წ. ოპოზიციონრები ბაკურიანში (სასტუმრო „კოხტაში“) შეკრებილან და დაუდგენიათ, ეს ხელისუფლება უნდა გადავატრიალოთო!

ამ ხელისუფლებას რო გადავატრიალებთ, ხაშალი ცხვრები წინ მოვექცევით და თანამდებობებსაც დავინაწილებთო. მოღალატური შეკრებისთვის ტრეინინგი დაურქმევიათ და ტირანიასთან მებრძოლი პიტერ აკერმანიც მოუწვევიათ. ეს გახლავთ ე.წ. ტრენერი, მოდერატორი, პოლიტტექნოლოგი, რომლის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით დაამხეს ბოლივიის პრეზიდენტის ევო მორალესი და იუგოსლავიის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი. საღოლ, თუ ერთიც და მეორეც ამ ადამიანის ნაშრომების მიხედვით დაამხეს, გამოდის, დასამხობები არ ყოფილან, საქმე გვაქვს დაგეგმილ რევოლუციებთან. აკერმანი „არაძალადობრივი ქმედებებისა



და სტრატეგიების ცენტრის“ დაფუძნებელია, ასევე პოლიტიკური ორგანიზაცია „ამერიკელების არჩევანის“ თავმჯდომარეა. ის ცნობილი გახდა აქტივისტების მომზადებით, რომლებსაც მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში აგზავნიან ხელისუფლების დასამხობად. დაუკვირდით, ტიპი მთავრობებს ამხობს და ორგანიზაცის აბრაზე უწერია, არაძალადობრივი ქმედებების სტრატეგიების ცენტრიო... არაძალადობრივიო!

რაც არ უნდა იყოს, გამოცდილი მასწავლებლისთვის ჩაუბარებიათ ხატია დეკანოიძე, ბათუ ქუთელია, გიგა ბოკერია და სხვა ამათნაირები.

პიტერ აკერმანმა ჯერ კიდევ 2014 წელს გამოსცა ნაშრომი სათაურით: „როგორ დავასრულოთ ტირანია - ძირითად ამოცანათა ჩამონათვალი“, სადაც გარკვევით წერია, რომ ტირანიის დროს, ნებისმიერ ქვეყანაში, არსებობს მხოლოდ ორი გზა - ან მოთმინება და შეგუება, ან იარაღი და არსებული რეჟიმის დამხობა.

აკერმანი ისე დახარბებულა ამათ ფულებს, თავი ალოგიკურობაში ამოუყვია. სად არის საქართველოში ტირანია?

ნეტავ თუ იცის, რომ თვით ტირანებს უტარებს გაკვეთილებს?

გიგა ბოკერია!

ხატია დეკანოიძე!

გირჩი ზურაბა!

ბათუ ქუთელია!

მიშა მშვილდაძე!

„ლელოელები“!

ე.წ. აქტივისტები!

ე.წ. არასამთავრობოები!

აი, ამათ უნდა გადაატრიალონ ქვეყანა და სახელმწიფო.

ნეტავ ის თუ იცის ამ აკერმანმა, რამფერ სირებთან აქვს საქმე?

ჰა, ჰა, ჰა... ტირანიაო!

ტირანია კი არა, იქით ვეჩხუბებით ამ ხელისუფლებას, ცოტა სიმკაცრე გამოიჩინეო. თურმე ეხლა ბოკერია ინსტრუქტაჟებს იტარებს, რათა გადაგვატრიალოს!

ბებიათქვენისამ!!!

ამ უბედურმა სააკაშვილმა, სასამართლოს გისოსებიდან რომ გამოჰყოფს ხოლმე გოდორივით თავსა კვირაში ერთხელ, გაზაფხულზე ეს ხელისუფლება უნდა დავამხოთო. იმედი ჰქონდა, ომში ჩაგვითრევდა და მღვრიე წყალში ლიფსიტას მაინც დაიჭერდა. არ გამოუვიდა, ჩაფლავდა. ომამდეც ყველა გეგმა ჩაუვარდა. თეთრი ცხენით რუსთაველზე რომ უნდა გაჭენებულიყო, ეგ კი-



ნოც არ შედგა. რაღა დარჩა? არაფერი... თავისებურად ცდილობს, წვალობს, წამობს, განიცდის, მა რა ქნას, რა გააკეთოს, არც ეცადოს, არც იწვალოს, არც ეწამოს, არც განიცადოს?!

თურმე ბაკურიანში არ მიიწვიეს არც ერთი ოპოზიციური პარტია, ვინც სააკაშვილის მიმართ ღია მხარდაჭერას და სიმპატიას არ გამოხატავს. ნეტავ რომელი ე.წ. ოპოზიციური პარტია არ გამოხატავს მიხეილის მხარდაჭერას? არის ვინმე ასეთი? ერთი ვახო მეგრელიშვილი ვიცი, მეორე „გირჩში“ როა, დღეს სხვას ლაპარაკობს, ხვალ სხვას. ეგ გინდ ყოფილა, გინდ - არა.

თურმე ბაკურიანის „კოხტაში“ დიდი დებატები გამართულა იმაზედ, თუ როგორ უნდა მოხდეს საზოგადოების მობილიზება. ზოგიერთ მათგანს უკითხავს, ხელს ხომ არ უშლის პროტესტის ესკალაციას პარლამენტში ოპოზიციის ყოფნაო? პატიმარ სააკაშვილის საკითხის აქტუალიზება მავნე ხომ არ არის თანამედროვე ქართული პოლიტიკისთვისო? დარწმუნებული ვარ, ეგეთ „უხერხულ“ შეკითხვებს გიგა ბოკერია დასვამდა, მიშა მშვილდაძე და ხატია დეკანოიძე კიდევ შეეკამათებოდნენ, განა მიშას გარეშე ამ ქვეყანაზე ცხოვრება ღირსო? მშვილდაძე ძუძუებს ჩამოიჩაჩავდა, დეკანოიძე - თვალებს გადმოპრაწავდა. სხვათა შორისო, ჰყვება წყარო, რომელიც ამ „სირობას“ ესწრებოდა, შეკრებაზე რამდენიმე იდეამაც გაიჟღერაო (ოჰ, როგორ ვერ ვიტან სიტყვა „ჟღერას“, მაგრამ მაინც ხმარობენ!), სერბეთის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, **OTPOR**-ის მსგავსი ორგანიზაცია უნდა ჩამოვაყალიბოთო. როგორც ჩანს, აკერმანი დაბერდა, **OTPOR**-ის მსგავსი ყ...ეობა 2003-ში იყო („კმარა“), სადაც ყველა უდღეური იყო გაერთიანებული, ვინც კი საკუთარმა ბიოლოგიურმა დედამ დაწყევლა. ახლაც არის მსგავსი ყ...ეობა („სირცხვილია“), სადაც ასევე დედების მიერ დაწყევლილები დაწანწალებენ.

სხვათა შორისო, განაგრძობს სარწმუნო წყარო, ტრენინგის დასასრულს, სადაც მოღალატეებმა რევოლუცია დაგეგმეს, კონცერტიც გაიმართა, შეკრებილებმა უკრაინაში მიმდინარე ომით გამოწვეული დარდი გაიქარწყლეს და ურვა განიქარვესო.



●

საინტერესოა, კიდევ რა წერია პიტერ აკერმანის სახელმძღვანელოში, როგორ აპირებს საქართველოში თავისი „არაძალადობრივი“ იდეების განხორციელებას? ამ წიგნის თანაავტორი გახლავთ ვინმე ჰარდი მერიმანი. ეს ორი ამერიკელი „მისტერი“ ამტკიცებს, რომ თანამედროვე მსოფლიოში, უფრო ხშირად, კონფლიქტები არა სახელმწიფოებს შორის, არამედ

სახელმწიფოთა შიგნით წარმოიშობა, ტირანებსა და მათ მიერ ჩაგრულ მოსახლეობას შორის. ზემოთაც ვიკითხე, სად არის-მეთქი საქართველოში ტირანია? აქ კიდევ ერთს დავამატებ: ვინ არის საქართველოში ტირანი, ბიძინა ივანიშვილი თუ ირაკლი ღარიბაშვილი? არა, ორი ტირანი ასეთ პატარა ქვეყანაში ნამეტანია, ერთიც საკმარისია და ალბათ უპირველესი სამიზნე ივანიშვილია. მერე რა,




რომ საქართველოში ტირანი არ არსებობს? გამოიგონებენ, მერე იმ გამოგონილს ტვინგამორეცხილ მაჯლაჯუნებს მიუქსევენ და... თუ ხალხიც აიყოლიეს, მიზანსაც მიაღწევენ. თუმცა... დარწმუნებული ვარ, ამათი ყველა მცდელობა კრახით დასრულდება, რადგან არ აქვთ ყველაზე მთავარი - საკმარისი ჭკუა და ხალხის მხარდაჭერა. ამასთან, ყველა მათგანი სახელგატეხილი ნაძირალაა და ამის შესახებ კარგად იცის მოსახლეობამ. რასაკვირველია, ტვინი და მხარდაჭერა რომ არ აქვთ, სწორედ ამიტომაც ჩამოიყვანეს რევოლუციების სპეციალისტი აკერმანი, მაგრამ მისი მცდელობაც უშედეგო იქნება - ის ბიძინა ივანიშვილისგან ტირანს ვერ შექმნის, ის არ არის სათანადო მასალა.

გავყვეთ ორი ამერიკელი „მისტერის“ ე.წ. სახელმძღვანელოს, გავიგოთ, რას თხზავენ და რას გვიპირებენ. თურმე, სამოქალაქო წინააღმდეგობას გარკვეულ წრეებში „ხალხის

ძალაუფლებასაც“ უწოდებენ.



თუ არ უწოდებენ, მოსახლეობაში უნდა დაიწყოს კამპანია და ადამიანებს ჩაუნერგონ, რომ ქუჩაში მორბენალი მაქარაშვილები, ბერძენიშვილები თუ ჟორჟოლიანები ხალხის რჩეულები არიან. აკერმანის მტკიცებით, სწორედ ამგვარმა სამოქალაქო მოძრაობებმა განაპირობეს უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური და დემოკრატიული ცვლილებები 1972 წლის შემდეგ. გაიგონეთ? დემოკრატიული ცვლილებებიო. განა დღემდე სადმე, დედამიწის რომელიმე წერტილში განხორციელდა დემოკრატიული ცვლილებები? სადაც კი ამათ ფეხი დაადგეს, ყველგან სისხლი დაიღვარა და ცოდვის კალო დატრიალდა.

ამონარიდი სახელმძღვანელოდან: „ტუნისის და ეგვიპტის მოვლენები 2011 წელს და უფრო თანამედროვე, 2014 წლის უკრაინის მოვლენები კარგი მაგალითია იმისა, თუ რამდენად მოულოდნელი შეიძლება იყოს სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობების გამარჯვება და როგორი მძლავრია მათი უნარი,

შეცვალონ რეჟიმები. ეს არ არის ერთეული შემთხვევები, როცა ცვლილებები მოულოდნელი აღმოჩნდა საზოგადოებისთვის“.

აქ შევჩერდეთ... ეს ორი მაგალითიც საკმარისია, რომ აკერმანსა და მერიმანს თავიანთი სახელები დავარქვათ - ავანტიურისტები!

რაც ტუნისსა და ეგვიპტეში 2011 წელს დაიწყო, „არაბულ გაზაფხულად“ მონათლეს, თუმცა სინამდვილეში ეს იყო და არის (დღემდე სამოქალაქო ომები მიმდინარეობს) ქაოსი. რაც შეეხება უკრაინას, კი ხედავთ, რა უბედურებაშია გახვეული.

აკერმანი თავის სახელმძღვანელოში ქადაგებს, ძალიან ცოტამ იწინასწარმეტყველა ე.წ. „ფერადი რევოლუციები“ სერბეთში 2000 წელს, საქართველოში 2003 წელს და უკრაინაში 2004 წელსო. ვერც იმას წარმოიდგენდა ვინმე, ორგანიზებული არაძალადობრივი მოძრაობები თუ ითამაშებდნენ



წამყვან როლს რეჟიმების დამხობაშიო... საერთაშორისო ექსპერტები ცდილობენ, ამ მოვლენებს ახსნა მოუძებნონ, მაგრამ ვერ უძებნიან და ამიტომ ხშირად სამოქალაქო წინააღმდეგობის წარმატებულ მოძრაობებს ისტორიულ ანომალიებად

მოიხსენიებენო. მართალნი არიან საერთაშორისო ექსპერტები, როდესაც ნორმალური ადამი-

6 გვ. →

# სად მოძებნეს ამდენი დეგენერატი...

4 გვ.

რებაზე. შემდეგ, მოოქროვილი უნიტაზები მოუნდა. წარმოგიდგენიათ, ამერიკელი მილიარდერები მოოქროვილ უნიტაზებს რომ ხმარობდნენ?! ეს პროვინციალიზმია. მერე იყო მაიდანი, შემდეგ ყირიმი, რაც პუტინს ადვილად შერჩა და ბოლოს, დონბასი. უკრაინა დონბასის გარეშე არაფერს წარმოადგენს. იგი, სამრეწველო გულია. ბოლოს მოვიდა ზელენსკი, რომელიც ვერ შეაფასეს, თქვეს: მსახიობიაო. უცებ, დაივიწყეს, რომ ერთმა მსახიობმა — რეიგანმა საბჭოთა კავშირს დედა უტირა. პუტინი ზელენსკის აშაყირებდა. მერე, აღმოჩნდა, რომ უკრაინის პრეზიდენტი ამერიკელებს მოეწონათ. რა თქმა უნდა, რუსეთის პრეზიდენტს შეეძლო ომი არ დაეწყო, მაგრამ ვერ გათვალა. პუტინი არის ბრწყინვალე ტაქტიკოსი, მაგრამ სტრატეგია არ აქვს. იგი საკითხს, ერთ-ორ თვეში ბრწყინვალედ გადაწყვეტს, მაგრამ რა მოჰყვება ყოველივეს ხანგრძლივ პერსპექტივაში, ამას ვერ თვლის. მას ეგონა: როგორც უსისხლოდ ჩამოაჭრა ყირიმი უკრაინას, ასევე აიღებდა უკრაიანს. დიახ, ეგონა, რომ იქ, არავინ იომებდა. ზოგადად, ნავთობზე და გაზზე ფასების ზრდამ, რუსეთი ზღაპრულად გაამდიდრა. ვიმეორებ, პუტინმა სტრატეგიული ფიქალი ძვირია, მაგრამ ევროპელები მზად არიან გადაიხადონ. ევროკავშირი უმდიდრესი გაერთიანებაა. დასავლეთმა თავი როგორ უნდა გამოყოს თუ მთელი მსოფლიო — 131 მოწინავე ქვეყანა რუსეთის დამარცხებას ვერ შეძლებს. ამიტომ, ჩიხური სიტუაციაა, დათმობაზე არავინ წავა. აქ, უკვე, კომპრომისი, შერიგება, დაზავება შეუძლებელია. პუტინმა ყირიმი დაიბრუნა და უცებ, უკრაინასთან რომ დამარცხდეს, ვერ გადაიტანს. მეორე მხრივ, დასავლეთი რუსეთმა რომ დაამარცხოს, რომელსაც ღიად მკვლელს, ყასაბს ეძახის, თავი მოეჭრება. ასე, რომ სიტუაცია სერიოზულია.

**— ქართული ოპოზიცია გვაიმედებს: რუსეთი უკვე დამარცხებულიაო. იმპერია რომც დაინგრეს, განა ამით საქართველოს ეშველება?**

— რუსეთის ქაოტურ დაშლას, თავად, დასავლეთი არ დაუშვებს. რუსეთს, დღეს, ამერიკაზე ბევრი ბომბი აქვს. საინტერესოა, თუ რუსეთი დაიშლება, ვის ხელში ჩავარდება ეს ბომბები — ტერორისტების? ვთქვათ, რუსეთი დაიშალა, ბომბები თავისუფალია, რა ხდება მერე? — ტერორისტებს, რადიკალებს, ისლამისტებს, შეიხებს ფულის მეტი რა აქვთ, იყიდიან და ატომური იარაღი პისტოლეტივით გახდება. ამიტომ,



ლი შეცდომა დაუშვა, თორემ, ომის აცილება მარტივად შეიძლებოდა.

გარდა ამისა, რუსეთს თვითმფრინავების პრობლემაც აქვს. მას 500 თვითმფრინავი ლიზინგით აქვს ნაქირავები. ეს ამერიკული და ევროპული თვითმფრინავებია. რუსეთი ამბობს: ამ საქონელს პატრონებს აღარ დავუბრუნებ, რადგან სათადარიგო ნაწილებს არ გვაძლევენო. ნაწილები შეუძლია ჩინეთმაც მისცეს, მაგრამ ხარისხი არ უვარგა. ერთი ამერიკელი მილიონერი წერდა: ჩინური სათადარიგო ნაწილებით აწყობილ თვითმფრინავში აღარ ჩავჯდები, ორი თავი სად მაქვსო. ასევე, ურალის ყველაზე დიდმა ქარხანამ ტანკების გამოშვება შეწყვიტა. რუსეთი ხომ ტანკებს უშვებდა. მას 30 ათასი ტანკი ჰყავს. ტანკი იყო რუსული, მაგრამ ლულა — ფრანგულია. ახლა, საფრანგეთი აღარ აძლევს, ემბარგოა დაწესებული. ამიტომ, რუსეთი ტანკებსაც ველარ უშვებს. ამ ყველაფერს ამერიკელებისგან, ვეროპელებისგან ყიდულობდა, ახლა — ჩინელებისგან უნდა იყიდოს, რაც ვიმეორებ, უხარისხოა. ვნახოთ, ამ ყველაფერს რუსეთი როგორ გაუძლებს. მას ჯერ ფული აქვს. ოქროს მარაგი, დაახლოებით, 30 მილიარდი დაყადაღებულია, რასაც უცხოეთში ინახავდა. ამის, ჩინეთსაც ეშინია. ჩინეთს უცხოეთში 3 ტრილიონი დოლარი აქვს შენახული, ამიტომ ვერ ბედავს რუსეთს ღიად დაეხმაროს. რასაკვირველია, სანქციებით მხოლოდ რუსეთს არ გაუჭირდება, არამედ ყველას — სანქცია ორლესული მახვილია, დამწესებლებზეც იმოქმედებს, თუმცა, მათზე მაინც ნაკლებად. ევროპელები გაზსაც იშოვიან და ნავთობსაც, მაგრამ უფრო ძვირი დაუჯდებათ. თუმცა, ამ ფულს გადაიხდიან. ამერი-

დასავლეთი ამას არ დაუშვებს. რატომ არ დაუტოვეს უკრაინას ბირთვული იარაღი? იმიტომ, რომ, უკრაინა საბჭოთა კავშირის დაშლის მერე დასუსტებული იყო და ეშინოდათ: იარაღი არ მოპარონო. მაინტერესებს, სად მოგროვდა ამდენი დეგენერატი, რომელიც ამტკიცებს: რუსეთს ორი კვირა დარჩაო. ბაიდენი ამბობს: ომი ხანგრძლივი იქნება, შეიძლება წლები გაგრძელდესო. ამ დროს გამოდის თვითმარქვია, მიაშასდროინდელი, ვითომ, დიპლომატი, ორი თვე უცხოეთში რომ იყო და ამბობს: რუსეთს ორი კვირა დარჩა, პუტინს თავად რუსები მოკლავენო. გაოცებას ვერ ვმალავ. რა თქმა უნდა, ეს სრული სისულელეა. ამხელა სახელმწიფოს, უცებ, დამარცხება არ ხდება. თანაც ვიმეორებ, რუსეთის დაშლა თავად დასავლეთს არ აწყობს. ასე, ბირთვული იარაღი უპატრონოდ დარჩება. მერე, რა მოხდება? — რუსი გენერლები თავისი ნებით შეძლებენ თითო ბირთვული ქობინა ახლო აღმოსავლეთში მილიარდერ ისლამისტს მიჰყიდონ?! ეს ისლამისტი, მერე, ამ იარაღს ხომ ამერიკის წინააღმდეგ გამოიყენებს? ამიტომ, საქმე ასე მარტივად არ არის. ასე, რომ რუსეთის დაშლა, დანაწილება, ზღაპარია. გახსოვთ, მამა ბუში კიევში რომ ჩავიდა და უკრაინის პარლამენტს ეხვეწებოდა: საბჭოთა კავშირი არ დაშალოთო, რადგან მათ ბირთვული იარაღი ჰქონდათ. ბოლოს, 1994 წელს ხელშეკრულება დადეს და ბირთვული იარაღი რუსეთს გადასცეს. ყველამ კარგად დაიმახსოვროს: რუსეთი ასე უბრალოდ, არ დაიშლება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# „საიდუმლო სირობა" ბაკურიანში

5 გვ.

ანი შეისწავლის, თუ როგორ დაამხო თეა თუთბერიძემ, ამ დაუმთავრებელმა არსებამ შევარდნაძის ხელისუფლება, რა თქმა უნდა, იტყვის, რომ ეს იყო წმინდა წყლის ანომალია. გადახედეთ, გაიხსენეთ, ჩვენ მაშინ კოლექტიურ „თუთბერიძესთან" გვქონდა საქმე, რომელიც „კმარას" საფარქვეშ სჩადიოდა უამრავ დანაშაულს და იწვევდა სახელმწიფოს დემორალიზაციას. პროექტი იგივეა, ნურავინ იფიქრებს, ვინმე აკერმანი ახალ ველოსიპედს გამოიგონებს. აქ ერთი მომენტია საყურადღებო: მე პირადად მრჩება შთაბეჭდილება, რომ ტექნოლოგიების არნახული განვითარების ფონზე ამათ წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწიეს, ესენი ისევ 2000-იან წლებში არიან ჩარჩენილები. კი, ბატონო, აკერმანის „მოწაფეები" ძალიან ხშირად იყენებენ ე.წ. ფეიკურ ინფორმაციას, მათი საყრდენი ძირითადად ყალბი ახალი ამბებია. თუმცა ყველაფერს იმდენად უნიჭოდ აკეთებენ, ძალიან იოლად იშიფრებიან და ფლავდებიან. საზოგადოება უკვე ადვილად ხვდება, რომელი ამბავია ნამდვილი და რომელი - ტყუილი. თუმცა, მოდით, ვთქვათ სიმართლე, თავს ნუ მოვიტყუებთ, აკერმანის იდეებმა თავის დროზე დიდი გასაქანი ჰპოვა მთელ მსოფლიოში და ე.წ. შედეგებიც დაიდო - ცრუდემოკრატიული პროცესებით ბევრი მოტყუვდა და მათ შორის ჩვენც. სიმართლეს ამბობს აკერმანი, ბევრმა ვერ იწინასწარმეტყველა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში რეჟიმს დაამხობდნენო. ერთ-ერთი ასეთი საქართველოც გახლდათ, სადაც ავადმყოფები ავიდნენ კვარცხლბეკზე. განა 2003 წლამდე ვიფიქრებდით, რომ უასაკო ავანტიურისტები ხელისუფლებას გადაიბარებდნენ? ჩვენ მაშინ მოვლენებს ირონიულად ვუყურებდით, მაგრამ სიტუაცია ისე დატრიალდა, მგონი ტაშიც კი დაგვაკვრევინეს.

აკერმანის „მოძღვრების" თანახმად, ხელისუფლების დამხობა ძირითადად დამოკიდებულია სამოქალაქო წინააღმდეგობის ჯგუფების მობილიზებაზე, რათა საზოგადოებაში მოიშალოს ხელისუფლებისადმი მორჩილება და გაქრეს შიში. აი, აქ კი ძალიან ცდება მისტერ აკერმანი, საქართველოში არც ხელისუფლებისადმი მორჩილებაა და არც შიში. როგორც ჩანს, აკერმანმა ბევრი რამ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის რევოლუციური დოქტრინიდან მოიპარა, მის სახელმძღვანელოში ხშირადაა ნახსენები ტერმინები: „ჩაგრული", „მჩაგვრელი", „მასობრიობა", „წინააღმდეგობა", „გადმობირება" და ასე შემდეგ. ამ სიტყვებს ლენინი იყენებდა, მეგობრებო, თავის ნაშრომებში, რომელმაც ასევე „მშვიდობიანი" სისხლისღვრა მოაწყო ჯერ რუსეთში, შემდეგ კი მთელ რიგ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში.

და ბოლოს... რას ამბობენ თავად ეჭვმიტანილი ელემენტები, „რეიზა" შევიკრიბეთ ბაკურიანშიო? არაო, ხელისუფლების გავლენის ქვეშ მყოფი „მედიები" ყალბ ინფორმაციას ავრცელებენო. ამ ტიპის ყალბი ინფორმაციის გავრცელება, რომლის მიზანიც საზოგადოების „მოსალოდნელი არეულობით" დაშინებაა, ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმებისთვის დამახასიათებელი ქცევაა, რაც ბაკურიანში გამართული ტრენინგის (შეხვედრის) ერთ-ერთი განსახილველი საკითხიც იყოო. გაიგონეთ? ორგანიზაცია „დემოკრატიის მცველების" (ასეთიც ყოფილა თურმე) „ნაჩალნიკი" გიორგი მშვენიერაძე აცხადებს, ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმების საკითხიც განვიხილეთ, საქართველოში ავტორიტარიზმის დამარცხება უნდა მოხდეს დემოკრატიული პროცესით და არაძალადობრივი წინააღმდეგობითო. არაო, კაცო, ჩვენ საქართველოში ტირანია არაძალადობრივი მეთოდებით უნდა დავამარცხოთო. როგორ ფიქრობთ, ამ ქვეყანაში ტირანია რომ იყოს, ესენი ასე იბოდიალებდნენ? სხვათა შორის, მე მიკვირს, რატომ შემოუშვეს პიტერ აკერმანი საქართველოში, ქაოსი და არეულობა რომ დაგეგმოს? უკაცრავად, მაგრამ არც ასეთი დემოკრატია ვარგა. დიახ, ჩვენ ვხედავთ, რომ დამხობას, გადატრიალებას, გადმოტრიალებას საფანელი არ გააჩნია და ვერანაირად ვერ განხორციელდება, თუნდაც აკერმანი კი არა, ლენინი წამოაყენონ მავზოლეუმიდან, მაგრამ საერთო საქმეს მაინც ხომ გააფუჭებენ? დროისა და ნერვების ნაწილს ხომ წაიღებენ? „ლელოელი" ბადრი ჯაფარიძე ამბობს, აკერმანმა თავისი ფილოსოფიური იდეები გაგვიზიარა, თუ თქვენ იზიარებთ ჩვენს ღირებულებებს, შეგიძლიათ შემოგვიერთდეთ ამ ბრძოლაში, ირაკლი კობახიძეს კი, რომელიც ჩვენზე აუგს ამბობს, ან ჰალუცინაციები აწუხებს და საჭიროებს შესაბამის კონსულტაციებს, ან თავს იგიჟიანებს, რომ პასუხისმგებლობა მოიხსნას მან და მისმა პარტიამ ევროკავშირის კითხვარის სწრაფად და სწორად შევსებაზეო. კაი, ჰო, ტლუ ახალგაზრდა შეიძლება გაიტაცოს აკერმანის ე.წ. მოძღვრებამ, მაგრამ ეს მოწიფულობის ასაკს გადაცდენილი ჯაფარიძე რამ გაატუტუცა?!

დაველოდოთ, მეგობრებო, როგორც ჩანს, წინ საინტერესო მიეთები და მოეთები გველის. კი წაიღებენ ტვინს, კი შეიყოფენ ერთ ადგილას სამ თითს, მაგრამ ვაღიაროთ, ასე თუ ისე, მაინც გავერთობით.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61



# ტელებარიგები, ტელეკიკუები და ფსიქიატრიულ საავადმყოფოდ გადაკეთებული ქვეყანა

„ოჯახური ტრაგედიის გამო ვიყავი ოთხი დღე თბილისში და კინაღამ ტვინში სისხლი ჩამექცა ქართული ტელევიზიების კივილით, ისტერიით, ცრუ და გადაუმოწმებელი ინფორმაციით, ანგაჟირებული ჟურნალისტების წიოკით, რაღაც გაურკვეველი ჩართვებით, სადაც წერა-კითხვის უცოდინარი ჟურნალისტები, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ბოდავენ ეთერში და მხოლოდ პირველი პირის ზმნე-



ბით გელაპარაკებიან, „დელავარი“ ინდიელებივით.

...ჩამოვედი საფრანგეთში. ჩავრთე ტელევიზორი და გაწონასწორებული ინფორმაცია, რაღაც პირდაპირი ჩართვების ნაცვლად საინტერესო რეპორტაჟები, ყოველგვარი წივილის, კივილის, მარგინალი ჟურნალიუგების გარეშე.

ვზივარ და ვფიქრობ. სადღაც სიზმარში ვიყავი ეს ოთხი დღე.

რას უძლებს ქართველი მაყურებელი ამათ ხელში, წარმოგიდგენიათ?“ — წერს საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე.

მართლაცდა, როგორ უძლებს ქართული ტელევიზიებისგან თავსდატეხილ ამ კოშმარს ქართველი მაყურებელი, გასაკვირია პირდაპირ.

— რა პრობლემაა? თუ ერთი არხი არ მოგწონთ, გადართეთ მეორეზე, თუ ისიც არ მოგწონთ, მესამეზე გადართეთ, მერე მეოთხეზე გადადით, მერე მეხუთეზე და ასე შემდეგ, — გირჩევს რომელიმე ჭკუისკოლოფი.

თითქოსდა არ არის ურიგო რჩევა, მაგრამ მთელი უბედურება ის გახლავთ, რომ რომელ არხზეც არ უნდა გადართო, ყველგან ერთი და იგივეა, ყველა ერთ ხმაში მღერის ერთ სიმღერას, ყველგან ერთი და იგივე წივილ-კივილი და ისტერიაა, ყველა ერთსა და იმავე ტყუილს ლაპარაკობს, ერთ ხმაში, ერთ ტონალობაში.

მართალია, ამ ტელევიზიებს სხვადასხვა სახელები ჰქვიათ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ, სინამდვილეში, ეს ერთი ტელევიზიაა, ერთი ტელეკომპანიაა, ერთი არხია, ოღონდ მაყურებლის თვალის ასახვევად რამდენიმე ფილიალად დაყოფილი, რომლებსაც ერთი საერთო პატრონი და ერთი საერთო ხელმძღვანელობა ჰყავს და ყველა ეს ფილიალი ერთი პულტიდან იმართება.

განსაკუთრებული სიმძაფრით ეს იგრძნობა ამ ვითომ სხვადასხვა ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებებში, რომლებიც ტყუპისცალივით ჰგვანან ერთმანეთს.

ყველა უბედურებასთან ერთად, იმდენად უნიჭოები, შემოქმედებითად იმდენად ბერწები და ფანტაზიაშეზღუდულები არიან, რომ იმასაც კი ვერ ახერხებენ, ერთი და იგივე სიუჟეტებით არ დაიწყონ ეს გადაცემები, ერთი და იგივე შინაარსის ტექსტები არ დაადონ, ერთი და იგივე პერსონაჟები არ ატარონ გადაცემიდან გადაცემაში.

ხშირად ხდება ხოლმე, რომ ერთი სუბიექტი დღეში 4-5 გადაცემაში მონაწილეობს „სხვადასხვა“ ტელევიზიებში და, რა თქმა უნდა,



ყველგან ერთსა და იმავე „სიბრძნეს“ აფრქვევს.

არადა, ამ „ტელევიზიების“ მეპატრონეებს რომ ჰკითხო, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, ობიექტური ტელევიზიები არიან, რომლებიც თავდადებით ემსახურებიან სამართლიანობას, დემოკრატიის განვითარებას, მოსახლეობის ინტერესებს.

ისემც თქვენ აგიფეთქდეთ ეკრანი, რამდენიც თქვენ სამართლიანობა, დემოკრატია, მოსახლეობა და მთელი ქვეყანა ფეხებზე არ გეკიდოთ, თქვენ ტელეკიკუებო.

უკიდურესი პროვინციალიზმი, სრული უწიგნურობა, მორალური და ზნეობრივი ნორმების უგულვებელყოფა, ცინიზმი, უტიფრობა, უპასუხისმგებლობა, სახელმწიფო ინტერესების იგნორირება და აბუჩად აგდება და, რაც მთავარია, ზღვარდაუდებელი სიცრუე, სიცრუე, სიცრუე! — აი, ქართული ტელევიზიების დიდი ნაწილის მთავარი მახასიათებელი ნიშნები.

ტელევიზიებიო, კი ვამბობთ, მაგრამ ამ ორგანიზაციებს არ შეიძლება ტელევიზიებიო ვუწოდოთ — ესენი არიან პროპაგანდისტული მანქანები, რომლებიც ღიად და დაუფარავად, თანაც ძალიან პრიმიტიული და პროვინციალური ფორმებით, სერიოზული დაფინანსების სანაცვლოდ ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიების თუ პოლიტიკოსების ინტერესებს ემსახურებიან, თუმცა ამას ისე პრიმიტიულად და არაპროფესიონალურად აკეთებენ, არ შეიძლება ნორმალურ და მოაზროვნე ადამიანში ამ უბადრუკობამ პროტესტისა და გაღიზიანების გრძნობა არ გამოიწვიოს, რაც, საბოლოოდ, იმით მთავრდება, რომ საზოგადოების გონიერი და მოაზროვნე ნაწილი ამ ტელევიზიებს, უბრალოდ, არ უყურებს.

თვით ამ ტელევიზიების რეიტინგის უაღრესად დამაზიანებელ ასეთ უკუშედეგს იძლევა ის გზა, რომელიც ამ ტელევიზიების მესვეურებმა აირჩიეს.

ისინი შეგნებულად, სრულიად გააზრებულად და მიზანმიმართულად მუშაობენ ადამიანთა იმ კატეგორიაზე, რომლებიც ადვილად ემორჩილებიან ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, უკრიტიკოდ იღებენ და ადვილად იჯერებენ ყოველგვარ ინფორმაციას, მით უმეტეს, თუ ეს ინფორმაცია ისეთი საპატივცემულო და ავტორიტეტული წყაროდან მოდის, როგორიც მათთვის არის ტელევიზია, სადაც, მათი გაგებით, მხოლოდ სიმართლეს ლაპარაკობენ.

როგორც ნარკომანი ხდება ნარკოტიკზე დამოკიდებული, ასევე ხდებიან ადამიანები ტელე-





დამოკიდებულნი — ტელევიზიაა მათთვის ის ნარკოტიკი, რომლის გარეშეც „ლომკები“ ეწყებათ.

ეს კარგად იციან „ტელევიზიონშჩიკმა“ „ბარიგებმა“ და აწვდიან და აწვდიან სინფორმაციო „ნარკოტიკებს“ ისედაც გაბრუებულ და „კაიფში“ მყოფ მომხმარებლებს, რომლებიც, ძირითადად, „ნაცმოძრაობის“ და მისი სატელიტი პარტიების მხარდამჭერები არიან.

ამ კონტიგენტის შენარჩუნებას და მის ბოლომდე დაზომბირებას ცდილობენ ეს პროპაგანდისტული მანქანები („მთავარი“, TV-I, „ფორმულა“, „კავკასია“ და სხვ.).

რა არის ამის მიზეზი, რატომ არის ასეთი სამარცხვინო და კოშმარული სიტუაცია ქართულ ტელესივრცეში?

მრავალ მიზეზთა შორის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სიტყვის თავისუფლების ყალბი და დამახინჯებული ფორმით გაგებაა, როცა წაშლილია ის წითელი ხაზი, რომლის გადაბიჯების შემთხვევაში სიტყვის თავისუფლება შეიძლება სახელმწიფოსა და ადამიანების წინააღმდეგ მიმართულ ბოროტებად იქცეს.

ჟურნალისტმა გიორგი გაბუნიამ სრულიად გააზრებულად, წინასწარ მომზადებული ტექსტით, რუსეთის პრეზიდენტს გარდაცვლილი დედა შეუგინა და ზედ სხვა ბილწსიტყვაობების „თაიგული“ მიაყოლა, რასაც რუსეთის მხრიდან დაუყოვნებლივ მოჰყვა საპასუხო რეაქცია, რითაც საქართველოს და მის მოსახლეობას უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი მიადგა.

ნებისმიერ სამართლებრივ სახელმწიფოში გაბუნიას დაუყოვნებლივ დააპატიმრებდნენ და სახელმწიფოს წინააღმდეგ წინასწარ დაგეგმილი დანაშაულებრივი ქმედების გამო დიდი ხნით გამოამწყვდევდნენ ციხეში, ხოლო ტელევიზიას, სადაც ეს სიუჟეტი გავიდა, კოლოსალური თანხებით დააჯარიმებდნენ, ან საერთოდ აუკრძალავდნენ მაუწყებლობას.

საქართველოში მსგავსი არაფერი მომხდარა — გაბუნიასაც და მის შეფ გვარამიასაც ხახვივით შერჩათ ქვეყნისა და ხალხის მილიონებით დაზარალების ფაქტი.

გაბუნიასთან დაკავშირებული ეს ინციდენტი სულაც არ არის გამონაკლისი.

ამ პროპაგანდისტულ-ოპოზიციური ტელევიზიების ეკრანებზე უამრავი ისეთი სიუჟეტი თუ გადაცემა გასულა (დღემდე გადის), რომელთა ქვეტექსტს და შინაარსს თუ ჩავუღრმავდებით და გავაანალიზებთ, აუცილებლად აღმოვაჩენთ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ჯაშუშურ-დივერსიული ხელწერის ძირგა-



მომთხრელი საქმიანობის ნიშნებს. თუმცა ესეც სათანადო რეაგირების გარეშე რჩება, რადგან, რეაგირების შემთხვევაში, ისეთი აჟიოტაჟი ატყდება ხოლმე და ვითომდა სიტყვის თავისუფლების დამცველების ისეთი ხმალამოღებული ლაშქარი გამოვარდება ასპარეზზე და მავნებლობაში ეჭვმიტანილ ტელევიზიებს ისე გადაეფოფრებიან და ისეთ სკანდალს ატეხენ, რომ ხელისუფლებას ურჩევნია, ზომებს მოერიდოს და სხვა გზით შემოუაროს პრობლემას.

დიდი ხანია საქართველოს სიტყვის თავისუფლების სახელით აშანტაჟებენ და აბულინგებენ, მაგრამ იმდენად ძლიერი და ყოვლისშემძლეა ის ძალები, რომლებიც ამ მავნებლურ და დამანგრეველ კამპანიას კურატორობენ, რომ ქვეყანა უძლური აღმოჩნდა ამ აპოკალიფსური შემოტევების შესაჩერებლად.

არადა, რა მნიშვნელობა აქვს, სახელმწიფოს ტანკებით და ზარბაზნებით დაგინგრევენ, თუ სიტყვის თავისუფლების ლოზუნგებს ამოფარებული ტელევიზიებით?

ვინ აფინანსებს ამ ტელევიზიებს? ვინ იხდის იმ უზარმაზარ თანხებს, რომლებიც ამ ორგანიზაციების შენახვას სჭირდება?

ამ სრულიად ლეგიტიმურ კითხვაზე, წესით და რიგით, ასევე ლეგიტიმური პასუხი უნდა არსებობდეს, მაგრამ არ არსებობს, ეს თემა იმდენად დახურული და გასაიდუმლოებულია, რომ მასთან წვდომა რიგით მოქალაქეებს არ აქვთ.

ასე რომ, საზოგადოებისთვის უცნობია იმ კეთილშობილი ქველმოქმედების ვინაობა, რომლებიც ასე „გვანათლებენ“, პარალელურ რეჟიმში კი ქვეყანას ძირს უთხრიან და ადამიანების ტვინების გამორეცხვას თავდადებით „ემსახურებიან“.

— საქართველოში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ორ კვირაში გახსნას ტელევიზიაო, — თავმომწონედ აცხადებს მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე ბატონი ბექაური, ოღონდ იმას არ აზუსტებს — ეს „ნებისმიერი ადამიანი“ ქურდი, ყაჩაღი, ხაზინის ქურდი, კორუმპირებული რომ იყოს, მაინც შეუძლია ტელევიზია გახსნას თუ ფული აქვს?

ალბათ, კი, თორემ მილიონების მოპარვაში ბრალდებული კეზერაშვილი რანაირად გახსნიდა ტელეკომპანია „ფორმულას“, საიდანაც 24 საათის განმავლობაში სიცრუის, ცილისწამების, სიბინძურის ნიაღვარი მოედინება.

ასეთი განუკითხაობა და თავაშვებულობა სუფევს ქართული პროპაგანდისტული და პარტიული ტელევიზიების „უდაბნოში“ და მერე



ტურისტად ჩამოსულ ფოფხაძეს უკვირს: რა დღეში ყოფილხართ, თქვე საცოდავებო, ამ საშინელებას როგორ უძლებთო?

ეხ, რა გაძლებაა, ბატონო გიორგი, ვერ ვუძლებთ უკვე, ვერ ვუძლებთ და მეორედ (უკვე კარგ ამბავზე) რომ ჩამობრძანდებით, შეიძლება საქართველოს ნაცვლად ერთი დიიდი ფსიქიატრიული დაწესებულება დაგხვდეთ, სადაც ამ ტელევიზიების მიერ ჭკუიდან გადაყვანილი მოსახლეობა იქნება შერეკილი „სამკურნალოდ“.

**„საერთო გაზეთი“**



# „ვესტერნობანა“ ნაცურად

## მირონ ხერგიანი:

ალბათ, ჩემსავით ხანში შესულებს, ბევრს გაუჩნდება ამგვარი შეგრძნება: გამოხვალ გარეთ, ხალხში გაერევი და უცებ აღმოაჩენ, რომ სხვა გარემოში მოხვდი, „სხვა ხალხის ისმის აწ ჟრიამული...“ ვისაც უკვე შენი არ ესმით და შენ კიდევ — მათი. თავს უცხოდ, ეულად, ზედმეტადაც კი იგრძნობ და ეგებ, ილიას სიტყვებმაც თავი სევდიანად შეგახსენოს: — „გაინაპირე, ჩემო თავო, გაინაპირე...“

ასეთ დროს ერთადერთი შვება საკუთარი ოჯახია, სადაც თავს ისევ მის სრულფასოვან წევრად იგრძნობ. „პაპა, ვიზღაპრაოთო!“ — შემოგღიმილებენ შვილიშვილებიც. შენც ულვაშების სწორებით, დარბაისლურად ჩამოჯდები, პატარებს ბარტყებივით შემოისხამ და ტყუილ-მართალით მათაც გაართობ და გულსაც გაიხალისებ...

თუმცა, მსგავსი იდილიური გარემო დღეს სადღაა და ამ ტიალ წუთისოფელში საზღაპრაოდაც ვის სცალია? ისევ იმ დღეში ვართ, „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლისო“— გულდამდუღრულ გურამიშვილს რომ უთქვამს. ქვეყანას ერთბაშად ათასნაირი უბედურება ღრღნის და ტერიტორიების დაკარგვას, გაჭირვებას, შიმშილს, ვირუსულ პანდემიას, უმუშევრობას, ქართველების ურთიერთ ჭამა-გლეჯაც დაერთო და — მეე, მეეო! —მოჩხუბარი ყოჩებივით ბოლო დროს ის ძალებიც დაეტაკნენ ერთმანეთს, ეროვნულობაზე თავს რომ დებენ.

ამ ქაოსს მე კი არა, მამალი პოლიტოლოგ-ექსპერტებიც ვერ ულებენ ალღოს და აგერ, ჩვენ სიახლოვეს, კაიხანია რუსეთ-უკრაინის ომიც გახურდა და კაცმა არ იცის, რით დამთავდება. ჩვენი ოპოზიცია და უცხოელი „მეგობრებიც“ ხელისუფლებას ძალას ატანენ „უკრაინას მხარი უფრო აქტიურად დაუჭირეთო!“ ის ზურაბ ჯაფარიძე, მავთულხლართებთან შარვალჩახდილი რუსებს საჯდომს ურცხვად რომ უცანცარებდა, ათასობით ახალგაზრდა გაანარკომანა, სამხედრო სამსახურიდან თავის ასარიდებლად, სატანისტურ გასაბერ ეკლესიაში შეიფარა და კბილებდაკრეჭილს ერთი ცელი-ღა აკლია გამოცხადებული სიკვდილის ფორმულამდე, — პრემიერმინისტრ ღარიბაშვილს „დიდაქტიკურად“ მოძღვრავს: —ჩადი უკრაინაში, რუსებს შეუკურთხე და ვაშინგტონ-ბრიუსელში პატივით მიგიღებენო... ამ არსებასთან სვანებს სხვა ანგარიშიც გვაქვს გასასწორებელი: ცილი დაგვწამა, კანაფს, როგორც ნარკოტიკს, კუბდარში ურევენო (რაც ისტორიას არ ახსოვს!) და სვანები ფაქტობრივად თავისნაირ ნარკომანებად გამოგვიყვანა. ამ დროს ეს კაცი ვითომ ხალხის რჩეული და კანონშემოქმედია!.. ამ ქვეყანაში ავიც და კარგიც უკვე ერთმანეთშია აზელილი და მართლაც ისეა, მუხრან მაჭავარიანი რომ ამბობს: „ძაღლი პატრონს ვერა ცნობს, ძაღლს ვერა ცნობს პატრონიო.“ ჩვენს პარადოქსულად დეფორმირებულ ყოფაში, პოლიტიკური ტერმინებიც აღრეულია. სამოქალაქო ომის გასაჩაღებლად გავეშებულ დესტრუქციულ, ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკურ ძალას, რატომღაც ხელისუფლების ოპონენტი ანუ ოპოზიცია ჰქვია, რაც იმას ჰგავს, ვთქვათ, რუსეთ-უკრაინის ამჟამინდელი სასტიკი დაპირისპირება, სისხლის ღვრა, ომის ნაცვლად, ურთიერთ ოპონირებად რომ მონათლონ.

განსაცდელების მთელ ამ „თაიგულს“ მიხეილ სააკაშვილმა ბოლო „სურნელოვანი ვარდიც“ დაამატა: ეს წლები რევანშის ჟინით შეპყრობილი, მშიერი მგელივით გარს გვირბენდა და თავისიანებს რევოლუციისკენ მოუწოდებდა. ხოლო როცა სიტუაცია უკვე მომწიფებულად ჩათვალა, ტრაილერის არაჟნის ყუთებში ვირთხასავით ჩამალული კონსპირაციულად შემოიპარა. გზა და გზა თავის ლაშქარს მოუწოდებდა: „ტალღა-ტალღა წამოდით,“ ჩავუხტეთ ივანიშვილის ხელისუფლებას და ბლიცკრიგით ჩამოვშალოთო!.. მაგრამ, დაილოცოს ღვთის განგება: ჩამოვიდა ტრაილერიდან და.. ფა-ფუ! —სადღაა აბუნტებული, „ტალღა-ტალღა წამოსული“ ზღვა ხალხი? — „გაპარულან ვირების“ სიუჟეტი გათამაშდა!.. „მხედართმთავარმაც“ ანაზდად რუსთავის ციხეში ამოყო თავი... მაგრამ, გისოსებში გამომწყვდეული ისევ მუშტებს იქნევს და სასამართლო სხდომებიც თვითრეკლამის სადემონსტრაციო ტრიბუნად გაიხადა. გვაყვედრის, რომ „ტილიან ქართველებს“ (ბიძამისმაც ჯიგრულად რომ გვაგინა), „ერთ დაჭაობებულ სოფელ ბათუმიანად,“ თურმე მთელი ქვეყანა აგვიშენ-დაგვიმშვენ-აგვიყვავა და უმადური ერის შვილები ამაგს არ ვუფასებთ! სასამართლო პროცესებზე უკრაინის სახელმწიფო სიმბოლოებით გვეცხადება და პერფორმანსებსაც არ გვაკლებს. მოსამართლეს მუქარით თვალებს უბრიალებს და თავზე ჭექა-ქუხილად ატყდება: — თქვენ არ იცით, ვისთან გაქვთ საქმე! აქ ჯდომისთვის არ მცალია, დროზე გამათავისუფლეთ, თორემო...

—აღმშენებლობის დრაივი არ მოგენატრათ?! — გადმოგვძახა „ტრიბუნიდან“... ბათუმისა არ ვიცი და თბილისში თაბაშირ-მუყაოს ფილებით ფასადურად შელამაზებული სახლები (გამოსაჩენად, გზისპირა ხეივნებიც რომ გააკაფვინა), არასდროს მიმიჩნევია აღმშენებლობად და იმ გულშემზარავ „დრაივსაც“ რა დამავიწყებს, მიტინგების დასარბევად მწყობრად წამოსული რობოკოპები ფარებზე ხელკეტების რიტმული ბრაგუნით რომ გამოსცემდნენ!..



ამჟამინდელი ქაოსის მხილველს, დიდი ილიას სიტყვები — „გაინაპირეო...“ თავს ხშირად შემახსენებს ხოლმე. ბოლო დროს, ისიც მიფიქრია, ჩემი წილი კალო როგორც შემეძლო, ისე გავლეწე, დათქმულიც მქონდა: მორჩა, ამას იქით, კალამს ხელს აღარ მოვკიდებ-მეთქი, მაგრამ ნაცები კაცს კი არა, ქვასაც აბღავლებენ და ხელი ისევ საწერად გამექცა. თანაც, გულს მომხვდა ჩემი მეგობრისა და კოლეგის — ვახტანგ ხარჩილავას ტკივილიანი ამოძახილი — „სააკაშვილის რეჟიმის რეპრესირებულთა ხმა რატომ არ ისმისო?!“ შემრცხვა: აკი მეც ერთი იმ სამასიათასი პრობაციონერთაგანი ვიყავი...

...კოდორელების მხარდამჭერ აქციაზე, (სადაც ირაკლი ბათიაშვილი სულ ორი სიტყვის თქმისთვის „გამაგრდით, ბიჭებოო!“ — დააპატიმრეს და ოთხი წლით ახეხინეს ციხის კედლები), დალის ხეობის გმირების დასაცავად მეც სიტყვით გამოვედი. მაშინ ერთმა ჩემმა კეთილისმყოფელმა ჩუმად გამაფრთხილა, — „კონტროლზე ხარ აყვანილი და ნაკლებად იაქტიურეო.“ მეც ვფრთხილობდი, მაგრამ რეჟიმის წინააღმდეგ ჩემ კრიტიკულ წერილებს, მოგონილი გვარ-სახელებით პრესაში მაინც ვაქვეყნებდი; კვალის ასარევად, ქალების ფსევდონიმითაც ვბეჭდავდი: ხან „დარეჯან გორძამაული“ ვიყავი, ხანაც „მედეა კორინთელი“ და „ლელა უთურგაიძე“... მაგრამ ადეიშვილის დამსჯელი უწყების „არგუსის თვალებს“ რამეს გამოაპარებდი? ერთ დღესაც მტაცეს ხელი და სრულიად აბსურდული ბრალდებით 6 წლით მაპატიმრებდნენ, მაგრამ სამხილების არარსებობის გამო, ციხე პრობაციით შემიცვალეს. რაიონში გამასამართლეს. ჩემი მსჯავრმდებელნი სასამართლო პროცესზე ერთმანეთს სიცილით ეკითხებოდნენ: ჯარიმა რამდენი შევაწეროთო?

უფროსი ვაჟის მძიმე ავადმყოფობის გამო, ოჯახში ისედაც განადგურებულები ვიყავით და „მოტეხილს მოტეხიანო“ — ზედ ეს სიმწარე და შეურაცხყოფაც დაერთო. ჩემი სასამართლო კარგახანს გაიწელა. ერთხელ მორიგი პროცესიდან მე და უმცროსი ვაჟიშვილი ვბრუნდებოდით და — მამა, იცი რა ბედნიერი ვარო? — მოულოდნელად მეუბნება. გაოცებულმა გადავხედე.

— გვერდით ოთახში ვიღაც ქალს წყალი ვთხოვე. ნოტარიუსი აღმოჩნდა. რომ გაიგო, შენი შვილი ვიყავი, ატირდა: —ასეთ პატიოსან კაცს, ეს მხეცები რას უშვრებიანო! — და ამის თქმაზე, ბიჭს თავადაც ცრემლები წასკდა...

იმ დასაწვავ პრობაციის ცენტრში გამოცხადებას სიკვდილი მერჩია. მუდმივად გრძელი რიგები იდგა და ნაცნობების დანახვაზე, მუხლები მეკვეთებოდა, სირცხვილით ვემალებოდი და მზერას ვარიდებდი. ალბათ, ისინიც ჩემ დღეში იყვნენ.

ცინიზმის მწვერვალი სხვა იყო: თან დამსაჯეს და თან იმხანად „კულტურის ამაგდარის“ საპატიო სიგელითაც დამაჯილდოვეს, ანუ ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონისგან ჩვენი ერისთვის დამუქრებული „მათრახის და თაფლაკვერის“ გემო გამასინჯეს. აი, ასე აბუჩად იგდებდნენ ადამიანებს! „ქართულმა ოცნებამ“ სულზე მომისწრო და სადღაც ორი წლისთავზე, სასჯელის მძიმე უღლისგან გამათავისუფლა. შემდეგში ჩემ წერილებს ბოლოში რომ ვურთავდი — „ყოფილი პოლიტპრობაციონერი-მეთქი“ — ეს რა არისო? — კოლეგებს უკვირდათ. ღმერთს მადლობას ვწირავ, ცოცხალი რომ გადავრჩი. არადა, ადამიანის სახედაკარგულმა ამ სოციოპათებმა რამდენი ოჯახი გააუბედურეს, რამდენი ბავშვი დააობლეს, რამდენ დედას ჩააცვეს შავები!..

სწორს ამბობს ბ-ნი ვახტანგი, მაგრამ, იმ სამასი ათასი პრობაციონერიდან, ჩემსავით ალბათ ბევრი სხვაც ჩაიქნევდა ხელს: „ეჰ, ძმაო, ძმაო, რაც იყო-იყო, ჯოჯოხეთია მოსაგონებლადო!..“ ეგეც არ იყოს, გაჭირვებისას, გარშემო მყოფი ადამიანებიც სხვანაირად იშიფრებიან ხოლმე. იმხანად მადლიერებასთან, მწარე უმადურობასაც ბევრს გადავაწყდი, მტკენია გული, მაგრამ ვცდილობ, დავივიწყო...

არადა, ეს ოხერი ჯოჯოხეთიც რომ არ თავდება?! რომ გვეგონა, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, ნაცრეჟიმს ბოლო მოეღებოდა და თავისუფლად ამოვისუნთქავდით, „ნურას უკაცრავად!“ — დაფაცურდნენ მათი ლობისტი გლობალისტ-ნეოლიბერალები და წყეული კოაბიტაცია გენმოდიფიცირებული სასიკვდილო ვირუსივით შეგვყარეს. ივანიშვილის ხელისუფლებაშიც ალბათ იფიქრეს ჰუმანურობაში ჩაეთვლებოდათ, დაივიწყეს წინაპრების ბრძნული შეგონება „დევი არ დაიზავებაო,“ ნაცბანდა უბეში გველივით ჩაისვეს, გააძლიერეს და ციხის საზარელი კადრებიდან მოყოლებული, მათი სხვა დანაშაულებების კვალიც თითქმის წაშალეს, სამხილები გაანადგურეს, დამნაშავეებს ბიოგრაფიები გაუსუფთავეს, პროკურატურა-სასამართლოს შემადგენლობა კი იგივე დატოვეს და ათასობით გამოუძიებელ საქმეს მტვერი ეყრება.

„მიწა გრილიაო“ — წინაპრებს ტყუილად როდი უთქვამთ: ნაცრეჟიმის ნამოქმედარი თანდათან დავიწყებას ეძლევა და სამარდება. სწორედ გუშინ იყო, ჩემი შვილის სიყრმის მეგობრის, ქუჩაში ჩაცხრილული გიორგი გამცემლიძის უბედურმა მამამ სანდრო გირგვლიანის სურათს რომ შესტირა: „შენ საფლავზე ზღვა ხალხი მოდიოდა და დღეს აღარავის აგონდებიო!’... ის კი არა, გრძნობაგაყინული მიშმადიდებლები ჭირისუფლებს პირში ბურთს ჩრიან, ამუნათებენ და ზოგიერთი რეჟიმსაც ამართლებს: მაშინ ასე იყო საჭიროო!.. რომელ ოჯახებსაც ის ჯოჯოხეთი არ გამოუვლია, სხვისი მწუხარებაც არაფრად უღირთ. გულგრილი გახდა ახალგაზრდა თაობაც,

ვისაც მაშინდელი უბედურება არ უნახავს და აღარ მიკვირს, ვინმე ინტერნეტმომხმარებელი ქალის უტიფარი კომენტარიც: — „არ მჯერა, რასაც ყვებიან. მე ეს ყველაფერი სასაცილოდ მეჩვენება“... სასაცილოდო— გესმით?!..

... სააკაშვილს ერთხელ როგორღაც წამოსცდა: ჩვენ მაშინ ამერიკული ვესტერნის გმირებს ვბაძავდითო... ანუ, ჩვენ რომ დარბევა „გვეგონა,“ ბიჭები თურმე „ვესტერნობანას“ თამაშობდნენ!.. ხალხის ტანჯვა-წამება, საკუთარი დანაშაულებების გადასაფარავად გამოგონილი ტერაქტების, ხელისუფლების დამხობის ცრუ ბრალდებებით დასჯილი ადამიანებიც, თურმე მათი ამ უმწიფარი „ვესტერნობანას“ თამაშის აუცილებელი ნაწილი ყოფილიყო! აგვისტოს ომში ქვეყნის ტერიტორიის 20%-ზე მეტი რომ დაკარგეს, ქართველი ჯარისკაცები ბრძოლის ველზე უპატრონოდ მიყარეს, დაჭრილებიც ღვთის ანაბარა მიატოვეს, „წითელი ჯვარიც“ არ შეუშვეს და საპატრიარქოს რომ არ ეჭირისუფლა, ქართველი მეომრების ცხედრებს ადგილობრივები უკვე ბენზინს ასხამდნენ და წვავდნენ, სამშობლოს ღალატის ცილისწამებით მეთაურებიც რომ მიახვრიტეს, ალბათ ესეც ამ თამაშის „ბოევიკური“ ნაწილი იყო!.. საბოლოოდ, ამ ბანდიტებმა (იარაღით ვაჭრობაზე რომ არაფერი ვთქვათ), ომით დაზარალებული ქვეყნის სტატუსით კარგადაც იხეირეს, უცხოეთიდან გადმორიცხული მილიონობით დოლარი ჩაიჯიბეს და ქვეყნის ტრაგედიის ხარჯზე, ერთბაშად გამდიდრდნენ. მთელი ამ უბედურების მაესტრო სააკაშვილი კი ამ დროს ქართველებს გვამუნათებს: —სადამდე უნდა ითმინოთ, რომ ამხელა გამარჯვების ავტორი ციხეში ვიჯდეო!..

ადეიშვილმა „ვესტერნობანას“ რუხი კარდინალის — რიშელიეს როლი ამჯობინა, თუმცა ბოლოს რუხი თავგივით გააპარეს და „მეგობარი“ ქვეყნების მფარველობით, იქ ბედნიერად მოყუჩდა. ახლა ვგებულობთ, რომ ეს ვითომ ძებნილი, უკრაინის გენპროკურორის მრჩეველი ყოფილა და ვიღაც ქართველებს კარგადაც გაუძყვნიათ.

ნამეტანი როლში შეჭრილმა ორგვამაშვილმა ვანომ კი, ციხე ბოლომდე „ვესტერნულად“ მოიხადა. გარეთ გამოსულ ბელადს რობოკობები აღტაცებული „დრაივით“ შეეგებნენ და გულმიცემულმა, ეგრევე მუშტების ქნევა დაიწყო.

ერთი უგულავა იყო, სანჩოს როლს რომ ვერ გასცდა. პრეზიდენტის შეწყალებული, ხანმოკლე პატიმრობიდან ისიც მუშტების ქნევით, ნაიალაღარ ძროხასავით ნაპატივები გამოვიდა და მძიმე წონის მიუხედავად, ნაცჭაობის ზედაპირზე ისევ ძველებურად ტივტივებს; შოუმენობასაც არ იშლის და ლამის 50 მილიონი ლარის შემჭმელმა, გაქნილი შულერის — გვარამიას ტელეშოუში მოგებული 50 ათასი ლარიც ჩაიჯიბა. თუმცა ეს ის უგულავაცაა, 7 ნოემბერს დარბეული რუსთაველის ფონზე მრისხანე სახით გადმომდგარმა მუქარით რომ გამოგვიცხადა: დარბევის სანქცია მე გავეცი, დედაქალაქს არავის ავარევინებო!.. ამოიღონ ეს კადრი, რატომ არ აჩვენებენ?

აგერ, „ვესტერნის“ კიდევ ერთმა „გმირმა“— ბაჩო ახალაიამაც დატოვა საპატიმრო და მანაც ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების „დოქტორ სიკვდილად“ წოდებულ იოზეფ მენგელესავით განაცხადა: — მე ჩემ ქვეყანას პატიოსნად და ერთგულად ვემსახურებოდიო!..

თუ „ვესტერნი“ იყო, ამ პირშავებს კოვბოური მაინც ეთამაშათ, რაღა განგსტერულს მიახტნენ? მაგრამ ამ ქვეყანაში მართლაც „ყველაფერი მოსულა“ და აი, შემდეგი საოცრება: „სააკაშვილის გებელსი“ — გიგა ბოკერია არსად წასულა, მეტიც, ევროპელის მანტიამოსხმული, სულგანათლებულ რეზო ამაშუკელის შერქმეული თიკუნის — „„მძინარე პითონის“ ჭარიდან ნელ-ნელა ძვრება და თანამეწყვილესთან ერთად, ისევ ჭკუის დამრიგებლურ მენტორულ გაკვეთილებს გვიტარებს...

დიახ, ნაცებთან კოაბიტაციაში შესვლა, ხელისუფლებასაც და ქვეყანასაც საკმაოდ ძვირადაც დაუჯდა. მაშინდელი გამოსაშვები მოწამლული სისხლი უკვე შედედდა და საზოგადოების ორგანიზმს მომაკვდინებლად წამლავს. თუმცა, ჯერ კიდევ სადა ვართ, როგორც იტყვიან „„შორია დარდანელამდე!“— დაუსჯელობით გათავხედებულები უფრო გაძლიერდნენ, გაიშალნენ, სახელწოდებები შეიცვალეს და ერთი სული აქვთ, ხელისუფლება ბოროტებაში წაიცდინონ, დაიმსგავსონ, რომ ბოლოს ნიშნისმოგებით მიაძახონ: შე ჩვენნაიროო! საამისოდ, ცილისწამებიდან დაწყებული, ნებისმიერ სიბინძურეზე მიდიან და საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნის სახელის გატეხვასაც არ ერიდებიან; რუსეთ-უკრაინის ომსაც პირადი ავანტიურისათვის, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად იყენებენ, ცდილობენ, ომში საქართველოც ჩაითრიონ და ხელისუფლებას აგრესორის მიმართ კეთილგანწყობას სწამებენ.



უცნაურია: უმძლავრესი საბჭოთა სისტემა კომპარტიითურთ ჩამოიშალა, მისი კვალი არათუ ცხოვრებიდან, მეხსიერებიდანაც ქრება და რა გახდა სააკაშვილის ნაცბანდა, რომ ეს წლები მომაკვდინებელი შტამივით ვერ მოვიშორეთ? უცხოელი ლობისტებიც ველარ ელევიან და ვიდრე საბოლოოდ არ აყროლდება, გვამს სულს ხელოვნურად უდგამენ; თან ძმობა-მეგობრობას გვეფიცებიან და თან ამ დაბრიყვებული ქვეყნის დაუძინებელ მტრებს თავისთან იფარებენ. შეფარება ერთია და აგერ, უკრაინაში მაღალ თანამდებობებზეც ამწესებენ და მთელი „გენერალიტეტი“ კრიმინალი ბობოლა ნაცებით გამოტენეს. ის კი არა, სააკაშვილის სიტყვებით, მისთვის უკრაინაში პრემიერმინისტრობაც, მგონი, სამჯერაც შეუთავაზებიათ...

... ამ ჩემ წერილის დაწერას კი დამატებით სხვა მიზეზიც ჰქონდა:

— სადა ხართ, სვანებო, რამდენი კარგი საქმე გაგიკეთეთ და ხმას რატომ არ იღებთო?! —გაბრაზებით მოგვაძახა ოთხ კედელშუა გამომწყვდეულმა ნაცფიურერმა....

— „სადა ხართო“ — ეს კოდორის ხეობის სისხლის ბოლო წვეთამდე გმირ დამცველებს ჰკითხე „მთავარსარდალო,“ მშობელი კუთხიდან ძალის გამოყენებით რომ გამოაძევე, დალის სვანეთს „ზემო აფხაზეთი“ დაარქვი და ის პირველქმნილი, ღვთაებრივი კუთხე რუსებს მოღალატურად ჩააბარე;

ისევ იქა ვართ, „დიდო სტრატეგო,“ იმავე სვანეთში, სადაც ის ეცერი დაგვიბომბე, სვანებს სიყვარულით რომ უთქვამთ: „ჩიაგ შდუვე, ჩიაგ უჩხე/ თეთნამ ეცერს მიჟ ხაწედა!“ (ყველგანა თოვს, ყველგანა წვიმს, თეთრ ეცერს კი მზე დაჰნათისო). ის მზე შენი ბრძანებით ჩამოყრილი ბომბების შავმა კვამლმა დააბნელა, პატარა ბავშვებს ოჯახის წევრები თვალწინ დაუხოცეთ, ცოცხალი ადამიანი ცეცხლში გამობუგეთ, საფლავებიდან წინაპრების ძვლებიც კი ჩიჩქნეთ და გამარჯვებული ყაენივით ფეხმორთხმით წამომჯდარმა შენმა სისხლიანმა ემისარმა— გიორგი ბარამიძემ, ყეყეჩური ქედმაღლობით — „კუბდარი მომართვითო!“ ბრძანა;

იმავე მესტიაში ვართ, შენმა ზონდერებმა სვანების დასაშინებლად რომ დაარბიეს და რაც ისტორიას არ ახსოვს, სვანი ქალები ციხეში გამოამწყვდიე. კოდორის გმირს — ემზარ კვიციანს ვერ მისწვდი, ლაჩრული შურისძიებით ჯავრი მისი დაზე — ნორაზე იყარე და დააპატიმრე.

მესტიაში, ენგურს გაღმა, ულამაზეს ზურულდის მთასთან შენთვის მოსასვენებელი რეზიდენციაც წამოჭიმე, სადაც, როგორც ამბობენ, ხარჭებთან ერთად დროის სატარებლად, შვეულმფრენით ხშირად სტუმრობდი. მის სიახლოვეს გავლა არათუ ხალხს, საქონელსაც აუკრძალე და თავაწყვეტილი ღრეობისას „წითელ წიგნში“ შეტანილი ჯიხვის ცრიან მწვადებსაც არ იკლებდით.

სვანეთი იმ ამაყი მთიელების კუთხეა, რუსის „ატრიადმა“ სოფელი ხალდე სახლებიან-მურყვამებ-ქალ-კაციან-ბავშვიანად მიწასთან რომ გაასწორა, მაგრამ სვანურ ხასიათში თავისუფლებისადმი ლტოლვა ვერ ჩაკლეს და ჩვენ კუთხეს „თავისუფალი სვანეთის“ სახელიც დღემდე შემორჩა. სვანეთს მეორედ თქვენ მოევლინეთ სულთამხუთავებად და სოფელი ეცერი ამჯერად ვერტმფრენების არმადას დააბომბინეთ.

ეს იმ შესანიშნავი სვანი ვაჟკაცის — დათო ცინდელიანის სამშობლოცაა, ნაპრეზიდენტალო, შენმა კაციჭამიებმა რომ დაატყვევეს, აწამეს და კვალის დასაფარავად, ლოდშებმული შავ ზღვაში ჩაძირეს. შენმავე ჯალათებმა სრულიად უდანაშაულო, შემთხვევით გზად შემოყრილი ტრაქტორისტი ბიჭი უბრალოდ, ხელის გასავარჯიშებლად მიახვრიტეს. თქვენ კი ამგვარ სოციოპათებს ჯილდოებით ახალისებდით!.. დიახ, ამას ჩადიოდით ჩვენი კუთხის მოსახლეობის დასასჯელად და დასაშინებლად, რადგან დინჯი სვანები შენს ავადმყოფურ ხუშტურებს და ახირებებს ეურჩებოდნენ. თქვენ: გაურკვეველი ეროვნების, ჯიშ-თესლის, რჯულის, სექსორიენტაციის ბიოლოგიურმა წარმონაქმნებმა მოინდომეთ, სვანები ცხვრის ფარაში შევარდნილი მგლებივით დაგექსაქსათ, გაგეთითოკაცებინათ, დაგეჩმორებინათ და თქვენ ნებაზე გებურთავებინათ, მაგრამ ისტორიულად ოდითგანვე შედუღაბებულ ეთნოსში, ეს არ გამოგივიდათ. სვანეთში თუ რამ კარგი გაგიკეთებიათ, თქვენმა ავკაცობამ მთლიანად გადაფარა და ენგურის ქვიშასავით წარეცხა. ანდა, „კარგ საქმეს“ იმას არქმევ, მესტიის ცენტრალურ ქუჩას — სეტს ისტორიული, ბუნებრივი იერ-სახე რომ დაუკარგე და სახლებზე ხელოვნულად მიკერებული ხის აივნებით „რომეო და ჯულიეტას“ ბუტაფორულ დეკორაციებს დაამსგავსე? შენეული გაფრენილი ავანგარდული ინოვაციები, უპირველესად გემოვნებიან უცხოელებს ეჩხირებათ თვალში და ეს მათ ჩემთვის არაერთხელ უგრძნობინებიათ. დიახ, მესტიაში ამჟამად თქვენეული ბრავადა ნამდვილად არ დგას, მაგრამ, სამაგიეროდ, სიმშვიდეა. ადგილობრივმა მოსახლეობამ ტურიზმს თანდათან ალღო აუღო, შესაბამისი ინფრასტრუქტურაც ვითარდება, (თუმცა ჯობდა, ტემპი მეტი ყოფილიყო). თუ რამ ნეგატივია, სვანები მის მოგვარებასაც ერთობლივი ძალით ცდილობენ და ამისი დასტური ამასწინდელი „ხატზე დაფიცებაც“ იყო (უვიცებმა ქირქილი რომ დაიწყეს).

გსმენიათ უძველესი სვანური სიმღერა „დალა კოჯას ხელღვაჟალე“ („დალი კლდეზე მშობიარობს“), სადაც ნადირთ მფარველ ღმერთქალს ზემოდან ყორანი დასტრიალებს (ჟიქან ღვემელ ხენდვერიალე), ქვემოთ მგელი უდარაჯებს (ჩუქან თხეროლ ხოდარაჯი), რომ დედის უმწეობით ისარგებლონ და ახალშობილი ჩვილი მოსტაცონ. ჩვენი ქვეყანაც ასეთ დღეშია: უამრავი უკეთურია ჩასაფრებული ქართული მიწის დასაპატრონებლად, ღია თუ ფარული საფრთხეების ასარიდებლად, დღენიადაგ ფხიზელი თვალი და ,გამახვილებული სმენაა საჭირო.



# ჩემი აზრით, რუსეთი მალე მოახდენს მთელი ძალების მობილიზებას და ამ ომს წერტილს დაუსვამს

*საკმაო ხანი გავიდა ამას შემდეგ, რაც პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილთან არ გვისაუბრია. მოგეხსენებათ, ის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტია და ათეული წლების განმავლობაში საგარეო პოლიტიკის სფეროში მოღვაწეობდა.*

*მას შემდეგ, რაც რუსეთ-უკრაინას შორის საომარი კონფლიქტი გაჩაღდა, ჩვენ შევხვდით ბატონ ჰამლეტს, რათა მისი მოსაზრებაც მოგვესმინა ამ საშინელი ომის პერსპექტივებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ. გთავაზობთ საუბრის ჩანაწერს.*



**— მოგესალმებით ბატონო ჰამლეტ, რუსეთ-უკრაინას შორის საომარი კონფლიქტი არ წყდება, ფაქტობრივად, ერთი ოჯახის ორი წევრი ებრძვის ერთმაენთს.**

— მოგესალმებით. მივესალმები „საერთო გაზეთის“ მკითხველებს და თქვენი კითხვის პასუხს ცოტა შორიდან დავიწყებ: მოგეხსენებათ, უკრაინის დღევანდელ ტერიტორიაზე ოდითგანვე ცხოვრობდნენ რუსი ეროვნების ადამიანები, რომლებსაც უწოდებდნენ „მალო რუსებს“ და იქ მაცხოვრებლები ყოველთვის შედიოდნენ რუსეთის შემადგენლობაში.

როდესაც სოციალისტური



სტეპან ბანდერა

რევოლუციის შემდეგ უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ჩამოყალიბდა. მოგეხსენებათ, საბჭოთა იმპერიას ჰქონდა ასეთი ლოზუნგი „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით“. ეს ლოზუნგი უნდა გავრცელებულიყო უკრაინაშიც, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უკრაინას არავითარი პროლეტარიატი არ ჰყავდა, იქ არ იყო განვითარებული არც მრეწველობა და არც ინდუსტრია. ინდუსტრია განვითარებული იყო რუსეთის აღმოსავლეთ ნაწილში, უკრაინასთან ახლოს, დონბასში. ამიტომ ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს, რომ დონბასი და მისი შემოგარენი გადაეცათ უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისთვის, ანუ აკრაინისთვის, ანუ რუსეთის განაპირა მხარისთვის.

საბჭოთა კავშირის შექმნის პერიოდიდან იწყება უკრაინული ენის შექმნაც.

გავიდა რამდენიმე ხანი და ნაციონალიზმმა, რომელიც დასავლეთიდან შემოიჭრა, მიიღო ანტირუსული ფორმები. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, უკრაინის დასავლეთში უკვე აშკარად შეინიშნებოდა საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ მებრძოლი სულისკვეთება გაუკრაინებულ რუსებში, მათ ბრძოლა დაიწყეს სოციალისტური რუსეთის წინააღმდეგ.

ომის პერიოდში, როგორც კი უკრაინა, ბელორუსია და რუსეთის სხვა ქვეყნები ფაშისტებმა დაიკავეს, უკრაინელების დიდი ნაწილი ფაშისტების მხარეს გადავიდა, ჩაიცვეს ფაშისტური მუნდირები, შევიდნენ სს-ის შემადგენლობაში და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს.

მათი იდეური ხელმძღვანელი გახდა ფაშისტური სულისკვეთების მქონე სტეპან ბანდერა და რომან შუხევიჩი, რომლებიც სამამულო ომის წლებში ჰიტლერს ემსახურებოდნენ. ბანდერასა და შუხევიჩს სადამსჯელო ოპერაციები აქვთ ჩატარებული პოლონეთში, ბელორუსში, უკრაინაში. გაჟლეტილი ჰყავთ ასობით და ათასობით თანამემამულე და მოძმე



რომან შუხევიჩი

ხალხი გაუგონარი სისასტიკით — ორსული ქალების მუცლის გაფატვრიდან დაწყებული, მათთვის და ბავშვებისთვის კიდურების მოჭრით და ათასი სისაძაგლით.

1945 წლიდან მოყოლებული 1955 წლამდე, 10 წლის განმავლობაში, უკრაინელი „ბანდერელები“ სასტიკად იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ფაშიზმის მოკავშირეებმა ომის დამთავრების შედეგ ამერიკასა და კანადაში თავშესაფარი მისცეს უკრაინელ თანამებრძოლებს, ნაწილი კი დარჩა უკრაინაში და გააგრძელეს პარტიზანული ომი რუსეთის წინააღმდეგ.

თუმცა უკრაინელი ფაშისტები ვერ მოესწრნენ საბჭოთა კავშირის დაშლას, მაგრამ მათი შთამომავლების გარკვეული ნაწილი საჭირო დროს გადმოსროლილი იქნენ უკრაინაში.

მაგალითად, უკრაინის ფინანსთა მინისტრი იყო ამერიკული წარმოშობის ქალბატონი, იუშჩენკოს ცოლად შეართვევინეს თეთრ სახლში მომუშავე უკრაინელი ქალბატონი და ა.შ. ფაქტობრივად, აშშ-ი წლების განმავლობაში ყოველ ღონეს ხმარობდა, აღორძინებულიყო ნაციონალური ფაშიზმი და „ბანდერიზმი“ რუსეთის წინააღმდეგ. ფინანსდებოდა არა მხოლოდ სასკოლო ლიტერატურა, არამედ უკრაინის ჯარი და შეიარაღება, რის შედეგადაც უკრაინა 30 წლის განმავლობაში ისე გაძლიერდა, რომ, სანამ ომი დაიწყებოდა, მას 250 000-იანი რეგულარული ჯარი ჰყავდა. ეს არის ნატოში შემავალ ერთად აღებულ რამდენიმე ქვეყანაზე უფრო მეტი რაოდენობის რეგულარული არმია.

ყველას გვახსოვს, 2014 წელს უკრაინაში „მაიდანი“ მოხდა, რომელიც დაფინანსებული იყო აშშ-ს მიერ. მაშინ პრეზიდენტი გახლდათ იანუკოვიჩი. იმ ხანებში აქტუალურ საკითხად იდგა ევროკავშირში ასოცირებულ წევრობის საკითხი. იანუკოვიჩმა უარი თქვა ამ დოკუმენტზე ხელის მოწერაზე, რადგან ეს დოკუმენტი, ფაქტობრივად, მონად აქცევს მის ასოცირებულ წევრებს. ამის შემდეგ იანუკოვიჩს შიგნიდან მოუწყვეს რევოლუცია, ჩამოაგდეს და მისი სრული ლიკვიდაცია განიზრახეს. თუმცა იანუკოვიჩი გადარჩა და ის ახლა, რამდენადაც ვიცი, რუსეთში იმყოფება, მაგრამ, ყოველივე ამაში საინტერესოა ის ფაქტი, რომ იანუკოვიჩის მკვლელობის ორგანიზებისთვის უკრაინაში საქართველოდან გაგზავნილი იყვნენ ქართველი ე.წ. რევოლუციონერები სააკაშვილის გუნდიდან და ქართველი სნაიპერები, რომლებმაც ბრძანების საფუძველზე რევოლუციის პროვოცირებისთვის ასობით მშვიდობიანი უკრაინელი დახოცეს...

არ ვიცი, ნანახი გაქვთ თუ არა, იტალიელებმა გადაიღეს დოკუმენტური ფილმი, სადაც ქართველი სნაიპერები აღიარებენ, რომ ისინი სააკაშვილის ბრძანებით იქნენ უკრაინაში სპეციალურად ჩაყვანილი და მათ ბრძანებებს აძლევდნენ ის მეამბოხეები, რომლებიც დღეს უკრაინის ხელისუფლებაში არიან ამერიკის დაფინანსებით.

**— ბატონო ჰამლეტ, ანტიამერიკულ განწყობას ქადაგებთ ახლა?.**

— თუ სიმართლე გინდათ, სიმართლე ეს არის. არავითარი ანტიამერიკელი არა ვარ. მე ვსაუბრობ ფაქტებით.

გადაავლეთ თვალი, რომელი არასამთავრობო ორგანიზაცია მოღვაწეობს საქართველოში წარმატებულად — ვინც წარმატებით მუშაობს, ყველა აშშ-დან იღებს დაფინანსებას.

როცა შევარდნაძე ჩამოვიდა, მაშინ უმძიმესი სიტუაცია იყო საქართველოში — არეულობა აფხაზეთში, მანამდე თბილისის ომი. თბილისის ომიდან ორი თვის მერე ჩამოვიდა შევარდნაძე და დახვდა აქ გაპარტახებული ქვეყანა.

ეს ის დროა, როცა მე, პარლამენტის აპარატის უფროსი, ვიღებ ხელფასს 5 დოლარს და საგარეო საქმეთა მინისტრის ხელფასი კი 7 დოლარია, არ არის ელექტროენერგია, პური, სხვა საკვები და მე, სხვა ადმინისტრაციულ საქმეებთან ერთად დავრბივარ პურის საშოვნელად პარლამენტის წევრებისთვის.

**— საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ყველაფერ ამაში დიდია რუსეთის ხელი, რუსეთმა ვერ აიტანა ჩვენი დამოუკიდებლობა და ჩვენი დასჯა მაშინ იმ ფორმით გადაწყვიტა.**

— ეს არის ქართველების მიერ მოგონილი ტყუილი. აფხაზეთის ომში რუსის ჯარს მონაწილეობა არ მიუღია. ვინც იქ იბრძოდა, იყო ჩეჩენი, უკრაინელები, სომხები რუსებიც, მაგრამ ესენი იყვნენ დაქირავებული მებრძოლები და არა სახელმწიფო საჯარისო ფორმირებები.

ეს ისტორია მე ძალიან კარგად ვიცი და მიმაჩნია, რომ ქართული მხარე ძალიან დიდ შეცდომას უშვებს, როცა ამ სიცრუეს ტირაჟირებს და კიდევ უფრო ძაბავს რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ ისედაც არასახარბიელო ვითარებას.

**— ახლა მე მეცინება, ბატონო ჰამლეტ, რუსეთი ოკუპანტი არ არის?**

— კარგით, რა, ირანდა — არ შესულიყო შევარდნაძე და არ მოხდებოდა აფხაზეთში ის, რაც მოხდა. არ დაეწყო ომი სააკაშვილს და არ დავკარგავდით ტერიტორიებს.



**— მოდით, უკრაინას მივუბრუნდეთ და ქალაქ ბუჩაში დატრიალებულ საშინელ ტრაგედიაზე ვისაუბროთ...**

— რაც შეეხება ქალაქ ბუჩას, იქ იყო რუსის ჯარი, რომელიც იქედან 30 მარტს გავიდა, მხოლოდ 2 დღის შემდეგ, რაც ქალაქში დაბრუნდა ქალაქის მერი, მან თქვა: ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი კარგადააო. არსებობს სატელევიზიო ჩანაწერი, სადაც ის ამას ლაპარაკობს. რამდენიმე დღის შემდეგ იქ შედიან უკრაინის სპეცსამსახურები და აცხადებენ, რომ საშინელებები მოხდა ბუჩაში. წარმოიდგინეთ, რუსის ჯარი იქ არ არის, მერი რამდენიმე დღის შესულია, კაბინეტში მუშაობას აგრძელებს და ტელევიზიებში განგაშია ატეხილი მკვდრებითაა სავსე ქალქი ბუჩაო. ცხადია, ეს ყველაფერი მოხდა ამერიკელებისა და ინგლისელების ხელშეწყობითა და მათი სცენარით, რათა მთელმა მსოფლიომ გაიგოს რუსული სისასტიკე და ბანდიტიზმი. ეს არის დადგმული სპექტაკლი. მიზანი კი ერთია — რადაც უნდა დაუჯდეთ, მოახერხონ რუსეთის დაშლა.

უკრაინა რომ არ ყოფილიყო იქნებოდა სხვა, მაგრამ დღეს ის არის ანტირუსული პლაცდარმი, ტერიტორია, რომელსაც აშშ იყენებს რუსეთის წინააღმდეგ.

**— თქვენ თქვით, უკრაინა, რომ არ ყოფილიყო, იქნებოდა სხვა. ეს სხვა შეიძლებოდა საქართველო ყოფილიყო?**

— სრულიად შესაძლებელია. 2008 წელს ეს იყო დაგეგმილი. უნდოდათ საქართველო გადაექციათ ისეთივედ, როგორიც ახლა უკრაინაა, უბრალოდ, ქართველმა თავი არ შეიწუხა და არ გამოვიდა საბრძოლველად, თორემ რას გავუძლებდით იმას, რაც ახლა უკრაინაში ხდება?!

**— მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად: რუსეთი შეიჭრა უკრაინაში.**

— ფაქტი ისაა, ჩემო კარგო, რომ უკრაინა ატომურ იარაღს აწარმოებდა. ეს იარაღი მას უკვე მზად ექნებოდა რამდენიმე თვის შემდეგ და დოკუმენტაციაში, რომელსაც რუსებმა მიაკვლიეს,

პირდაპირ არის აღნიშნული, რომ უკრაინა ამზადებდა თავდასხმას რუსეთზე ატომური იარაღით.

**— ამ იარაღით მარტო რუსეთი დაზიანდებოდა?**

— მაგას არ ითვალისწინებს, მაგალითად, ამერიკა, რომელიც უკრაინის წამქეზებელია და 12 000 კილომეტრითა არის დაშორებული რუსეთიდან და უკრაინიდან და ფეხებზე ჰკიდია განადგურდება თუ არა იქაურობა.

რუსეთი მოსვენებას უკარგავს აშშ-ს, რადგან მას მსოფლიოს ერთი მეექვსედი უჭირავს და მისი ტერიტორია წიაღისეულითაა სავსე.

მე დღეს მგონია რუსეთის ხელისუფლება მივა იმ დასკვნამდე, რომ არაფრით აღარ შეიძლება ამ ომის გაჭიანურება. მას, ჯერჯერობით, ამ ომში მთელი ძალებით არ უომია. დონეცკში და ლუგანსკში ვინც იბრძვის, ესაა ადგილობრივი მოსახლეობა, ამ ქალაქების ე.წ. მილიცია, რომელიც, ფაქტობრივად, არის არმია, ისინი ომობენ და არა რუსეთის ძირითადი არმია.

**— უფრო კონკრეტულად?**

— ამ კონფლიქტმა დაგვანახა, რომ დასავლეთს არ აწყობს ისეთი რუსეთი, როგორიც ის დღეს არის. მას სურს რუსეთი იყოს ისეთი, როგორიც იყო ხელისუფლებაში პუტინის მოსვლამდე, როცა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურების თანამშრომლები თავისუფლად დადიოდნენ კრემლში და წიხლით აღებდნენ ნებისმიერი მაღალი თანამდებობის პირის კაბინეტს. პუტინმა თავად თქვა, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის თანამშორმლები კრემლში მუშაობდნენო.

აშშ-ს სურს რუსეთი იყოს ისეთივე დამონებული, როგორიც არიან ევროპის ქვეყნები — ევროკავშირში შემავალი და ნატოს წევრი ქვეყნები. თუ ვინემს ჰგონია, რომ გერმანია, საფრანგეთი, იტალია და ა.შ. სუვერენული და დამოუკიდებელი ქვეყნები არიან, ძალიან ცდება. ესენი ისეთივე დამოკიდებული არიან აშშ-ზე, როგორც ქართველები და საქართველო. აშშ-ს სურს მონა იყოს





ყველა, ხოლო ვინც არ არის მონა, უნდა დაისაჯოს.

თქვენ გგონიათ, მოხარულია ევროპა რუსეთისადმი სანქციების დაწესებით? მაგრამ ამერიკას ვერავინ გადაუხტება წინ.

სიძულვილი რუსეთის მიმართ დასავლეთსა და აშშ-ს დიდი ხანია აქვთ, რადგან რუსეთი ხდება სერიოზული ძალა მსოფლიოში.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, როცა გასული წლის დეკემბერში პუტინმა ბაიდენს წინადადება წარუდგინა: რუსეთს ემუქრება ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით და ამას არ დავუშვებთო. ამიტომაც პუტიმა ბაიდენს მოსთხოვა ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან — პოლონეთიდან, და უნგრეთიდან გაეტანა ნატოს შეიარაღება.

**— ესენი ხომ უკვე დამოუკიდებელი ქვეყნებია, რაღა უფლება აქვს რუსეთს, ასეთი ულტიმატუმები წამოაყენოს?**

— თავის დროზე, გორბაჩოვის მმართველობისას, შედგა შეთანხმება, რომ ერთი ნაბიჯიც არ გადმოიდგმებოდა აღმოსავლეთით, ოღონდ გერმანიის კედელი დაინგრეს და გერმანია გაერთიანდესო.

მაგრამ მოვიდა აშშ-ს ხელისუფლებაში ბილ კლინტონი, რომელმაც თქვა: ასეთ რამეს არავის დავპირებივარო და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები სულ გრიალით შეიყვანა ნატოში. ბოლო ხანებში შედგა შეთანხმება, რომ დაწყებულიყო მოლაპარაკებები ამ საკითხზე და მიმდინარე წლის იანვარში გაიმართა აშშ-რუსეთის დელეგაციების შეხვედრა

დღესდღეობით დონბასში უკრაინის ფაშისტური არმიის დიდი დაჯგუფებაა, დაახლოებით, 50 000 მებრძოლი, თუმცა უკვე დასრულდა ამ შენაერთის ალყაში მოქცევის პროცესი. ახლა ნელნელა დაიწყება, ალბათ, მისი განადგურება და ამით დასრულდება კიდევაც დონეცკის გაწმენდა ფაშისტებისგან.

რაც შეეხება კიევს, ხარკოვს და სხვა ქალაქებს, გამოვიდა რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე და თქვა, რომ ამკაცრებენ ზემოქმედებას, რადგან აშშ-სა და ნატოს ალიანსში შემავალი 21 ქვეყანა იარაღით ამარაგებს უკრაინას. ახლა თქვენ თქვით, ნიშნავს თუ არა ეს ომში ჩართვას? როცა იარაღით ამარაგებ ქვეყანას, ე.წ. ეხმარები ამ ომში და ებრძვი რუსეთს.

ამ ფაქტების გათვალისწინებით, რუსეთის მხრიდან, ითქვა გარკვევით: ჩვენ მივიღებთ მკაცრ ზომებს იმ ობიექტებთან მიმართებაში, სადაც ხდება გადაწყვეტილებების მიღება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ არ არის გამორიცხული, დაარტყან პოლონეთსაც. მოკლედ, კიევში არ ხდება გადაწყვეტილებების მიღება, ზელენსკის ომის გამოცდილება კი არა წარმოდგენა არ აქვს არაფერზე. უკრაინის სამხედრო შტაბს, რომელიც კიევშია, სავარაუდოდ, გაანადგურებენ და არაა გამორიცხული, თუ კვლავ გაგრძელდა კონფლიქტი, დაბომბონ ის ტერიტორიები, საიდანაც გადაწყვეტილებები მოდის. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ძალიან სერიოზული პრობლემების წინაშე დადგება კაცობრიობა.







ბრიუსელში, თუმცა უშედეგოდ. მაშინ განაცხადა პუტინმა, რომ სხვა გზა არ რჩებოდა, სამხედრო ძალის გამოყენების გარდა. რის შემდეგაც დადგა 24 თებერვალი, რომლის შემდეგ მსოფლიო აღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო ადრე.

მსოფლიო გაიყო ორად — ამერიკა-ევროპის ქვეყნები ერთად და რუსეთი-ჩინეთი-სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები-ირანი-ჩრდილოეთ კორეა და სხვ. — ერთად. ეს პროცესები ახლა მიმდინარეობს და ახლა მწიფდება.

**— უკრაინის ბედი მაინტერესებს. საბოლოოდ რა ბედს უმზადებს რუსეთი და ამერიკა-ევროპა.**

— სიმართლე თუ გინდათ, ისაა, რომ არავის არ აინტერესებს, რა იქნება ხვალ უკრაინაში. აშშ-სა და დასავლეთს ერთი ინტერესი აქვთ, რაც შეიძლება დიდხანს გაძლოს ზელენსკიმ უკრაინა-რუსეთის ომში, რათა რუსეთი დასუსტდეს ეკონომიკურად, სოციალურად, სამხედრო თვალსაზრისით და დაიჩოქოს რუსეთმა აშშ-ს წინაშე.

რეალურად კი მოხდება ის, რომ რუსეთი უკრაინას ჩამოაჭრის დონბასს, მიაყოლებს შავიზღვისპირეთს, ხარკოვს, ოდესას და სხვა ქალაქებს, ანუ, ფაქტობრივად, იმ თავის კუთვნილ ისტორიულ ქალაქებს, რომლებიც ლენინმა აჩუქა უკრაინელებს რევოლუციის მერე, სახელმწიფოს რომ ქმნიდნენ, მაშინ.



**— თქვენ რუსეთს აღმავალი პერსპექტივები დაუსახეთ, საქართველოს მედიასაშუალებები სხვანაირ ინფორმაციას გვაწვდიან...**

— საქართველოს ტელევიზიებიდან იღვრება ტყუილი და მხოლოდ ტყუილი, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ქართული ტელევიზიების თვითშემოქმედება. ეს არის ჩაწოდებული აშშ-ის მიერ. ეს ე.წ. ჟურნალისტები და ე.წ. ექსპერტები ამერიკაში არიან გაზრდილი და ისინი მბრძანებლობენ თავის აღზრდილებს, რა უნდა ილაპარაკონ, რა ჭორები ავრცელონ. ამაში უხდიან ფულს, რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჰქვია ამას. გამორთულია ყველა რუსული არხი და არა მხოლოდ საქართველოში, მთელ ევროპას გაუთიშეს რუსული მაუწყებლობა. მე სატელიტური ანტენა მაქვს და ვუსმენ ინფორმაციებს. ერთ-ერთ თოკ-შოუში მარიუპოლიდან ჩართვა აჩვენეს, სადაც მიტოვებული, დაბომბილი სახლის ერთ ოთახში ყუთები აწყვია ჭერამდე. ყუთებს ქართულად აწერია, ანუ ჩვენგანაა გაგზავნილი და ეს ყუთები სავსეა პროდუქტებით. ქართველებს რომ ჰგონიათ, გაჭირვებულ უკრაინელებს ვუგზავნით საკვებსო, ეს პროდუქტები და სხვა ტვირთი უკრაინელი ფაშისტების ხელში ხვდება და არა უბრალო მოქალაქის.

სამწუხაროა ის, რომ ამ კონფლიქტთან დაკავშირებით ქართული მხარის დღევანდელი პოზიცია სავალალოდ აისახება ე.წ სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესებზე. იქ არჩევნებია მოსალოდნელი, რომელსაც, სავარაუდოდ, დაამთხვევენ რეფერენდუმს. ე.წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარემ ბიბილოვმა უკვე გამოაცხადა, რომ რეფერენდუმის თემა რუსეთთან შეერთება იქნება. აქამდე კიდევ იყო თუნდაც თეორიული შანსი იმისა, რომ ისტორიული სამაჩაბლოს ტერიტორია საქართველოს დაუბრუნდებოდა, მაგრამ ამ რეფერენდუმით უკვე ეს შანსიც იკარგება. თუკი ე.წ. სამხრეთ ოსეთს რუსეთის შემადგენლობაში მიიღებენ, მას, სავარაუდოდ, ჩრდილოეთ ოსეთს მიუერთებენ. ამ სიტუაციაში გულხელდაკრეფილი არც აფხაზეთი იქნება. არაა გამორიცხული, რომ დნესტრისპირეთიც მიჰყვეს მიმდინარე პროცესებს და ა.შ.

**— ამას თან ერთვის ეკონომიკური კრიზისი მთელ მსოფლიოში, რაც, რა თქმა უნდა, საქართველოზეც აისახება. თუმცა ნაცები ამბობენ, რომ ეკონომიკური კრიზისი აქ „ქართული ოცნების“ არაეფექტური პოლიტიკის ბრალია.**

— ამ ომმა სერიოზული კრიზისი გამოიწვია მსოფლიოში.

ინფლაცია ევროპის ქვეყნებში 8-დან 10 %-მდეა. ასეთი რამ ევროპის ქვეყნებს არასდროს ჰქონია. ენერგორესურსებზე უარის თქმამ სერიოზული პრობლემები შექმნა ევროპის დიდ ქვეყნებში. სანქცია მარტო იმას არ ნიშნავს, რომ ევროპელმა, მაგალითად, ბლომანჟეს მაგივრად ტაფამწვარი გააკეთოს, სანქცია არის გაჩერებული ფაბრიკები, ქარხნები, საწარმოები. გაჩერებული საწარმოები კი ნიშნავს უმუშევრობას, რის შემდეგაც უმუშევარი, უხელფასო ხალხი გამოვა ქუჩაში და მოაწყობს არეულობებს. ანალოგიური ვითარებაა აშშ-შიც, სადაც ინფლაციამ უკვე 9% მიაღწია. დახლები ცარიელია მეგაპოლისების უზარმაზარ სავაჭრო ობიექტებში, კატასტროფულად არის გაზრდილი საწვავის ფასები, შეწყდა ხორბლის ექსპორტი რუსეთიდან და უკრაინიდან. არ არის სასუქების მიწოდება, რაც პირდაპირ აისახება სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიღებაზე, სასუქი დეფიციტი გახდა მთელ მსოფლიოში.

ევროპა და ამერიკა, რომლებიც ყველა საშუალებით იბრძოდნენ რუსეთის დასაჩოქებლად, თავად მოუწევთ დაჩოქება და არა მარტო მათ, მთელი აფრიკა და სამხრეთ აღმოსავლეთი აზია მშიერი დარჩება.

**— საქართველო?**

— ჩვენ, როგორც იცით, საკვები პროდუქტები და სამრეწველო საქონელი მეტწილად ევროპიდან შემოგვაქვს. რას შემოიტანს საქართველო ევროპის ქვეყნებიდან, თუკი იქაც უმძიმესი ვითარებაა?! თანაც თუ შემოიტანენ, იქნება 10-ჯერ და 20-ჯერ უფრო ძვირი, ვიდრე იყო ადრე. საქართველოში არსებული ტოტალური უმუშევრობის პირობებში, ვინ შეძლებს ამ საქონლის ყიდვას.

**— ძალიან პესიმისტურია თქვენი პროგნოზი, ბატონო ჰამლეტ.**

— არავითარი პესიმიზმი. ეს არის მოსალოდნელი რეალობა და სანამ შიმშილის რევოლუციას მოაწყობს მშიერი ხალხი საქართველოში, მანამდე უნდა წავიდეს ხელისუფლება რუსეთში მოლაპარაკებებზე. დღეს თუ არა, ხვალ ეს აუცილებლობა მაინც დადგება და რაც დროზე გააკეთებენ ამას, მით უკეთესი იქნება.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# რუსეთ–უკრაინის ომი – აბელისა და კაენის ბიბლიური სიუჟეტის თანამედროვე ვარიანტია

## ქართველების პოზიცია ძმათამკვლელ ომში მხოლოდ მომრიგებლური უნდა იყოს

***„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი შოთა გლურჯიძე:***

**— ბატონო შოთა, თქვენ, ხელოვანი ბრძანდებით. თქვენი გადმოსახედიდან, რა პროცესები მიმდინარეობს, დღეს, რუსეთ-უკრაინას შორის?**

— პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო: მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ამ პროცესში, უშუალოდ, ჩაბმული არ არის, რუსეთ-უკრაინის ომს ძალიან განვიცდი. ეს, ჩემთვის, მძიმე თემაა, რადგან ორი მოძმე ერი ერთმანეთს ეომება. თუ ვიტყვით, რომ კიევი რუსული ქალაქების დედაა, გამოდის, ერთი დედისგან შობილი ორი შვილი ერთმანეთს ებრძვის და კლავს. ქართველების პოზიცია რუსეთ-უკრაინის ძმათამკვლელ



ომში მხოლოდ მომრიგებლური უნდა იყოს. უწმინდესმა გვთხოვა ომის შეჩერებისთვის გველოცა. თუ რუსეთი, უკრაინა გონს მოეგებიან და ომს შეაჩერებენ, ეს ორივეს გამარჯვება იქნება. მათ, აქ, ერთმანეთს არ უნდა მოუგონ. აი, მე გავიმარჯვეო — ეს პოზიცია სწორად არ მიმაჩნია. ვინც პირველი გაჩერდება, ის გონიერებას გამოიჩენს და ასე, ორივე მხარე გამარჯვებული დარჩება, ხოლო თუ ამ ომს შეყვებიან, ორივე დამარცხდება იმიტომ, რომ ძმებს ერთმანეთის სისხლში აქვთ ხელები გასვრილი.

**— მუდმივად, გვესმის: სისხლისმსმელი რუსეთი უკრაინაში შეიჭრაო, მაგრამ არავინ საუბრობს — რა უძღოდა წინ ყოველივეს?**

— უპირველესად ვიტყვი, რომ ვისაც ამ ომის წაქეზებასა და ხელშეწყობაში წვლილი მიუძღვის, იგი, რუსი და უკრაინელი ხალხის მტერია. წარმოიდგინე, ოჯახში შიგნიდან ვიღაც ერეოდეს, ანუ, ისეთი მტერი გყავდეს, რომელიც ძმას შენს წინააღმდეგ აგიმხედრებს. ვთქვათ, ვიღაც შენს ძმას ნარკოტიკებს აძლევს და ისიც გონებიდან გადავიდა. აი, ასეთი ვითარებაა რუსეთსა და უკრაინასთან მიმართებითაც. ჩემი აზრით, ორივე გონს არის გადასული. დიახ, რუსეთი ძლიერი, დიდი ქვეყანაა, მაგრამ იმის ძალა არ აღმოაჩნდა, რომ ამ ომში არ შესულიყო და საკუთარი ძმის სისხლში ხელი არ გაესვარა. იგივე დაემართა უკრაინასაც — იგი, ისეთი გონებადაბინდულია, ისე გააბრუეს რაღაც „ნარკოტიკით“, რომ თავის ძმაზე გაიქაჩა და საკუთარ დედას სცემს. დაახლოებით, ოჯახური ძალადობის მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე. აქედან გამომდინარე, ორივე ისეა გაბრუებული, მგონი, წამქეზებლებსაც ველარ ხედავენ. ასე თუ გაგრძელდა, არ მგონია, ომი რომელიმეს გამარჯვებით დამთავრდეს. იმედია, უფალი სწორ გზას დაანახებს. ჩვენც, ვილოცოთ.

**— წამქეზებელში, ალბათ, ე.წ. კოლექტიურ დასავლეთს გულისხმობთ?**

— ეს არ არის მხოლოდ ერთი ქვეყნის, იგივე, ამერიკის, ნატოს ან კიდევ ვინმეს ინტერესი. მოდი, ყოველივე ჩვენს სივრცეში გადმოვიტანოთ და შევხედოთ: აქ, რა ხდება. სამწუხაროდ, ჩვენში, ჩამოყალიბდა ხალხი, რომელიც აბსოლუტურად უცხოა, სხვა კულტურას ეკუთვნის, მისთვის ქართული კულტურა მიუღებელია, ენაც კი სხვა აქვს. მეტიც, ისეთი ტერმინებით საუბრობენ, ხანდახან, ვერც კი ვიგებ რას ლაპარაკობენ. მათ ენაში უამრავი ბარბარიზმია შემოსული, დროშაც კი სხვა აქვთ. წარმოიდგინე, ქართული დროშა ყვითელ ფერად გააფერადეს. **პრაქტიკულად, ჩვენივე ეთნოსში ახალი ეთნოსის ჩამოყალიბება მოხდა. ასე ხდება რუსეთშიც და უკრაინაშიც** — ორივე ერს ხომ ერთი ისტორია ერთი ეკლესია აქვს, ერთად უომიათ, და უცებ, მის წიაღში რაღაც განსხვავებული არსება ჩამოყალიბდა, რომელიც კიბოს უჯრედის მსგავსად თავისივე ორგანიზმს ებრძვის. აი, ასეთი სიტუაციაა. ეს მარტო უკრაინელებს როდი ეხებათ. ამ ყოველივეს ეთნიკური ხასიათი არ აქვს. შიგნით, რუსეთის საზოგადოებაშიც არსებობს ხალხი, რომელიც თავისივე რელიგიას, ისტორიას, ენას, კულტურას ებრძვის. ჩვენთანაც იგივე ხდება — საქართველოში 500 ათასი კაცი თავისივე ერს ებრძვის. კიდევ კარგი, ჩვენ, უწმინდესის სახით, პატრონი მაინც გვყავს და საქმე ისეთ ვითარებამდე არ მივიდა, რაც რუსეთსა და უკრაინას შორის ხდება. დიახ, ეს რეალობაა — ჩვენი ერის ორგანიზმში ისეთი მახინჯი სხეულები ყალიბდება, რასაც მე, უკრო-იბერები დავარქვი. ისინი არ გვცნობენ, არ გვთვლიან ადამიანებად, ბნელებს გვეძახიან ჩვენც და ეკლესიასაც. მათ ახალი რელიგია, ჰიმნი და დროშა აქვთ. ბარემ, სკოლებში ქართული ენის ნაცვლად უკრაინული შემოვიღოთ და ქართველებსაც უკრო-იბერები დავარქვათ?! ეს გახლავთ ომი რელიგიებს, ცივილიზაციებს შორის. ახლა, საქართველოს წიაღში ორი ცივილიზაციაა — ერთი, უძველესი ქართული, ხოლო მეორე ამის უარმყოფელი, რომელიც პირდაპირ შეურაცხყოფას აყენებს ყველაფერს: სიწმინდეებს, ტრადიციებს, ადათს, წეს-ჩვეულებებს და ა.შ. აი, ამ ყველაფრის შეცვლა უნდათ.

**— საიდან იშვნენ ეს უკრო-იბერები?**

— ამ ხალხში ბოროტი ჩასახლდა. კეთილი გამყოფი ვერ იქნება, მხოლოდ ბოროტი ყოფს. აქედან გამომდინარე, ეს ხალხი ამ ბოროტით არის მოწამლული. ყოველივეს, ესქატოლოგიური კონტექსტიც აქვს. რუსეთშიც განხეთქილებები ხდება. მას, ჩემი აზრით, შეგნებული არ აქვს თავის ფუნქცია. ერთი რუსი მეგობარი მყავს, რომელსაც რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით ჩემი აზრი აინტერესებდა. მას ვუთხარი: ეს იგივეა ვიღაცამ შენს წინააღმდეგ ძმა რომ აგიჯანყოს. თუ მტერი შენს წინააღმდეგ აქეზებს შენს ძმას, უნდა მოკლა მტერი და არა შენი ძმა. შენ კი ძმას კლავ და მტერთან ერთად მის ქონებას იყოფ. აი, ეს ხდება-მეთქი.






**— ბატონო შოთა, ბევრი შიშობს რუსეთ-უკრაინის ომი მესამე მსოფლიო ომში არ გადაიზარდოსო. რუსეთის წინააღმდეგ ასზე მეტი ქვეყანაა გაერთიანებული. აბა, მესამე მსოფლიო ომი სხვა რა არის?**

— მესამე მსოფლიო ომი მხოლოდ იარაღი და ფინანსები არ არის, ყოველივე გონებაშია. ასეთი დიდი ქარტეხილები ისე არ ხდება, თუ ახალი ერესი არ მოდის. ეს გახლავთ ახალი ერესი, რომელიც ცდილობს გადარჩეს და თავი დაიმკვიდროს. ხალხმა, ბევრგან, უკვე გამოიღვიძა. აშშ-შიც ამერიკელი ხალხი ორ ნაწილად არის დაყოფილი. ომები, პერიოდულად, სულ მიმდინარეობს — ხან ავღანეთში, ხან სირიაში, ხან ერაყში და ა.შ. ჩვენთან, რატომღაც, ყველგან უკრაინის დროშები აქვთ გამოფენილი, სირიელი ბავშვები არავის ეცოდებოდა. მე, მაგალითად, ეს ცოტა პროვინციალიზმი მგონია. ავღანეთში ხალხი თვითმფრინავებიდან რომ ცვიოდნენ, ეს არაფერი იყო?! ამ ყველაფერმა ისე ჩაიარა, აშშ-სთვის სანქციები არავის დაუწესებია. აქვე, ერთსაც დავამატებ: ძალიან გთხოვთ: ჩინეთი რომ ტაივანს მიიერთებს, მერე არ დაიწყოთ, მე ტაივანელი ვარ, ტაივანს არ დავთმობთ, არ გამოფინოთ ტაივანის დროშები და რაც მთავარია, ნაციაჩუკთან ერთად ტაივანის ჰიმნი არ იმღეროთ!!! ყველამ ჩვენს ბანგლადეშს მივხედოთ!!!

**— მართლაც, ჩვენთან ყველა უკრაინის დროშას დააფრიალებს ან გულზე სამკერდე ნიშნად უბნევია. ახალგაზრდობამ არ იცის, მათი გმირი ზელენსკი, 2008 წლის ომის მერე, ქართველებს ჩასვრილებს რომ გვეძახდა?**

— ეს კლაუს შვაბის ელიტაა, რომლის ნაწილიც არის ზელენსკი და სხვა ბევრი. ისინი ცინიკოსები არიან, რომელთაც არანაირი ღირებულებები არ აქვთ, შეუძლიათ მეორე ერს დასცინონ და ა.შ. ეს გასაკვირი არ არის. საერთოდ, ჩემი აზრით, თავმოყვარეობის საკითხია, ზელენსკისთან რაიმე სახის კავშირის დამყარება მას შემდეგ, რაც მან საქართველოდან ელჩი დემონსტრაციულად გაიწვია. განა, რა დავუშავეთ, სიკეთის მეტი რა გავუკეთეთ?! — ჰუმანიტარული ტვირთიც გავგზავნეთ, უამრავი დევნილი მივიღეთ, ფინანსურადაც ვეხმარებით. ზელენსკი, ქართველების მიმართ ასეთი მოქცევით, უკრაინელ ხალხს ღალატობს. ჩემი აზრით, ზელენსკის სახით, უკრაინას უღირსი პრეზიდენტი ჰყავს, თუმცა, ხალხს არაფერი დაუშავებია და მას უნდა დავეხმაროთ. ასევე, აქ ჩამოსულ რუს მოქალაქეებსაც უნდა გავუწიოთ თანადგომა. **საქართველო უნდა იყოს სივრცე, სადაც უკრაინელი და რუსი ხალხი დაზავდებიან და არა ერთმანეთს დაუპირისპირდებიან.** ჩვენ, მხოლოდ, შემრიგებლური, ქრისტიანული ფუნქციის მატარებლები უნდა ვიყოთ.

**— ბატონო შოთა, ვის ინტერესშია ეს ომი — რუსეთის თუ აშშ-ს?**

— აშშ, ჩვეულებისამებრ, ცინიკურად, პრაგმატულად და რაციონალურად მოქმედებს. მან იაფად დაიქირავა უკრაინის კომპრადორული ხელისუფლება და მათი მეშვეობით უკრაინის სახელმწიფო. უკრაინელებს რუსეთთან მუქთად აომებს, რითაც ზოგავს თავისი მოქალაქეების სიცოცხლეს და საკუთარ ფინანსურ რესურსებს. მის ტერიტორიას პირდაპირი ბირთვული საფრთხე არ ემუქრება, ევროპა შეშინებული და ბოლომდე დაქვემდებარებული ჰყავს, მატერიალურ რესურსს მინიმალურად ხარჯავს, თავის იარაღს სხვის ტერიტორიაზე ცდის, ანადგურებს რუსულ ეკონომიკას და სამხედრო ძალას. ყველა შემთხვევაში მოგებული რჩება და წაუგებელ თამაშს თამაშობს.

14 გვ. →

# მოახდენს თუ არა გავლენას რუსეთ-უკრაინის ომი მსოფლიოს საომარ კონფლიქტებზე

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა და ევროკავშირის საზღვრებთან ახლოს მიმდინარე სამხედრო მოქმედებებმა რეგიონში დაძაბულობა გაზარდა და შესაძლოა, დროებით შეჩერებული რეგიონული კონფლიქტების კატალიზატორად იქცეს.

დემოკრატიული ტაივანი, კორეის ბირთვული ნახევარკუნძული, ინდო-პაკისტანური ქაშმირი და სერბული კოსოვო დღეისათვის ყველაზე დაძაბულ კერებად რჩება, მტკივნეული საკითხის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრის შესაძლებლობა კი ფრიად მომხიბვლელად გამოიყურება. განსაკუთრებით ახლა, როცა მთელი მსოფლიო რუსეთის შეჩერებაზეა ორიენტირებული...



### ტაივანის საკითხი

რუსეთის მიერ განხორციელებულმა სპეცოპერაციამ ბევრი თეორია გააჩინა იმის შესახებ,




რომ უკრაინაში გავითარებული კონფლიქტი ჩინეთის პროვოცირებას მოახდენს და ის ძალით დაიპყრობს დაუმორჩილებელ ტაივანის კუნძულს. ამ ორი კონფლიქტის შედარება არ ღირს, მაგრამ ტაიბეიში მიიჩნევენ, რომ ჩინეთიდან მომავალი საფრთხე მაინც არსებობს.

დასავლეთის მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ვერსია იმის შესახებ, რომ სწორედ ჩინეთმა უბიძგა რუსეთს სპეცოპერაციის დაწყებისკენ, რათა ანალოგიური სამხედრო მოქმედებები თავადც დაიწყოს და ტაივანი მიიერთოს.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს ვერსია მცდარია, რადგან უკრაინაში რუსეთის შეჭრა ჩინეთისთვის სრული მოულოდნელობა იყო.

რა თქმა უნდა, ჩინეთი თვალს ადევნებს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, მაგრამ მოქმედებები არ დაუწყია. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით...

ამასვე ადასტურებს ჩინეთის მთავრობის განცხადებები რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების შესახებ. უფრო მეტიც, სპეცოპერაციის დაწყებისთანავე ჩინეთმა უკრაინას დაუჭირა მხარი.

მიუხედავად ამისა, ტაივანის შიშს მაინც აქვს საფუძველი. სი ძინპინის მმართველობის ათი წლის განმავლობაში ჩინეთის სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალების რეფორმირება და გაძლიერება მოხდა. ჩინელი სამხედროები მუდმივად ატარებენ სწავლებებს, რომლის სცენარი ტაივანის დაპყრობაა.

ექსპერტების მტკიცებით, სი ძინპინს არ აწყობს ახლა საომარ მოქმედებებში ჩაბმა, რადგან წელს ჩინეთის კომპარტიის ყრილობაა და მას კვლავ თანამდებობაზე დარჩენა უნდა. მისი ხელახლა არჩევის გარანტია კი როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ სრული სტაბილურობაა.

როგორც ექსპერტები ამბობენ, ჩინეთს არ აწყობს ტაივანის მოკავშირეებთან კონფრონტაცია, რადგან მას ნეიტრალური პოზიციის დაკავება და დასავლეთთან და რუსეთთან თანამშრომლობა სურს.

### ვინ აჯობებს — ჩრდილოეთი თუ სამხრეთი?

2022 წლის დასაწყისში კორეის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სხვადასხვა ტიპის 12 რაკეტა გაუშვა, მათ შორის, შორი და ახლო მანძილის ფრთიანი რაკეტები, რომლებსაც გუამაზე განლაგებულ ამერიკის სამხედრო ბაზამდეც შეუძლიათ მიაღწიონ, ასევე ზებგერითი იარაღი.

ამასთან, კსდრ-მ კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების გამოცდის გადაწყვეტილება რუსეთის მიერ უკრაინაში სპეცოპერაციის დაწყების შემდეგ მიიღო.




მიუხედავად იმისა, რომ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიცია, რომ სარაკეტო იარაღის გამოცდა რომელიმე სახელმწიფოს მიმართ არ არის მიმართული, ფხენიანის მორატორიუმიდან გამოსვლა, რაკეტებისა და ბირთვული იარაღის გამოცდა მსოფლიოში და, კერძოდ, კორეის ნახევარკუნძულზე დაძაბულობას მნიშვნელოვნად ზრდის.

ფხენიანმა ბირთვული იარაღისა და კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების გამოცდაზე მორატორიუმი 2018 წლის აპრილში მიიღო აშშ-სა და სამხრეთ კორეასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით. უფრო მეტიც, კიმ ჩინ ინმა 2019 წელს განაცხადა, რომ ბირთვულ იარაღს არც შექმნიდნენ, არც გამოცდიდნენ, არც გამოიყენებდნენ და არც გაავრცელებდნენ, მაგრამ აშშ-სთან მოლაპარაკებების პროცესის ჩაშლის გამო ფხენიანმა ახალი კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების შემუშავებისა და გამოცდის შესახებ განაცხადა.

მიუხედავად ამისა, ექსპერტები ამტკიცებენ, რომ შეშფოთების მიზეზი არ არსებობს, რადგან რაკეტების გამოცდის დროს ყველა წესი დაცული იყო და რაკეტები მაღალი ტრაექტორიით გუამის მომართულებით მიფრინავდნენ. მათივე მტკიცებით, ფხენიანი ქმნის ორმაგი დანიშნულების თანამგზავრთა ქსელს, რომლებიც არა მარტო პოტენციური მოწინააღმდეგეს გამოავლენენ, არამედ მეტეოროლოგიურ მონაცემებსაც გადასცემენ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ თუ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა სამხრეთ კორეას დაესხმება თავს, ფხენიანს არა მხოლოდ თავის სამხრეთელ მეზობელთან, არამედ ამერიკასა და მის მოკავშირეებთანაც ექნება საქმე, ომი ნაკლებად სავარაუდოა.

### ძველი მტრები ქაშმირის მთებში

ინდოეთმა ჩინეთისავით ნეიტრალური პოზიცია დაიკავა რუსეთის მიმართ და დასავლეთის ქვეყნების მასშტაბურ სანქციებს



არ შეუერთდა. მაგრამ უკრაინის მაგალითი და იდეა, რომ სამხედრო დაძაბულობის შემთხვევაში ბირთვული იარაღი სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის ერთადერთ და საკვანძო დაცვად რჩება, არა მარტო ინდოეთისთვის, არამედ პაკისტანისთვისაც ნათელი გახდა, რომელიც ასევე მასობრივი განადგურების იარაღის მფლობელია.

ნიუ-დელი და ისლამაბადი 1999 წელს კარგილის კონფლიქტის შემდეგ სერიოზულ გართულებამდე არ მისულან, თუმცა მთელი მშვიდობიანი პერიოდის განმავლობაში საზღვართან ჯარების რაოდენობას მუდმივად ზრდიდნენ.

ბოლო დროს ჯართა შორის ბალანსის სერიოზული დარღვევის მაგალითი პაკისტანის საზღვარზე 2022 წლის იანვარში პენჯაბის შტატში საზენიტო დანადგარების დადგმა გახდა. თუ ინდოეთი კვლავ გაზრდის მათ რაოდენობას, შესაძლოა, სიტუაცია სერიოზულად გართულდეს.

ექსპერტები გამორიცხავენ, რომ ვაშინგტონი განაახლებს ისლამაბადთან თანამშრომლობას იმ ფონზე, როცა ინდოეთმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას მხარი არ დაუჭირა. მათი აზრით, აშშ პაკისტანს მხარს არ დაუჭერს, რადგან ამით ინდოეთთან ურთიერთობა დაზარალდება.

ექსპერტების თქმით, ახლა პაკისტანის სპონსორები ჩინეთი და სპარსეთის ყურის ქვეყნები არიან. ინდოეთზე ზეწოლა პაკისტანისთვის იარაღის მიწოდების ხარჯზე იმას ნიშნავს, რომ რეგიონში ჩინეთის გავლენა გაიზარდოს. აშშ, ალბათ, შეეცდება, რომ პაკისტანთან ურთიერთობა მოაგვაროს, მაგრამ არა ინდოეთის ხარჯზე.

### ...და კვლავ ბალკანეთის ნახევარკუნძული...

სერბეთსა და თვითგამოცხადებულ რესპუბლიკა კოსოვოს შორის 2021 წელს მომხდარი დაპირისპირების შემდეგ პრიშტინამ, როგორც იქნა, გადაწყვიტა 2013 წელს დადებული ბრიუსელის შეთანხმების დარღვევა, რომლის თანახმადაც დიდხანს ინარჩუნებდა სადავო ტერიტორიებზე მშვიდობას.

მიზეზი მიტროვიცის მთავარი სასამართლოს თავმჯდომარეს ლილიანა სტევანოვიჩსა და სერბეთის პრეზიდენტს ალექსანდრ ვუჩიჩს შორის შეხვედრა იყო. ამის გამო სასამართლო საბჭომ სტევანოვიჩი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

სტევანოვიჩის გადაყენებისა და კოსოვოს ტერიტორიაზე

14 გვ. →

# რუსეთ-უკრაინის ომი – აბელისა და კაენის ბიბლიური სიუჟეტის თანამედროვე ვარიანტია

12 გვ.

**— როგორ ფიქრობთ, დასავლეთის ოცნება ხომ არ არის საბჭოთა კავშირის დანგრევის მერე, რუსეთის დაშლაც?**

— დასავლეთი, საკუთარ წიაღში, პირობითად, თავისსავე ორგანიზმს ებრძვის. ანუ, საქრისტიანოს, რომლის ნაწილიც გახლავთ მართლმადიდებლური ეკლესია. დასავლეთში, იგივე ძალები, კათოლიკურ ეკლესიასაც ებრძვიან. ამიტომ — არსებობს ცუდი დასავლეთი, კარგი რუსეთი ან პირიქით, საკითხს ასე ვერ მივუდგებით. დიახ, არსებობენ ბოროტი ძალები, რომლებიც თავისსავე ორგანიზმს ებრძვიან, როგორც კიბოს უჯრედები და არსებობს ჯანმრთელი ძალები, რომლებიც ერისა თუ ცივილიზაციის განკურნებას ცდილობენ. ამ ცივილიზაციას გადარჩენა თუ უწერია, უნდა დაფიქრდეს და თავის საწყისს დაუბრუნდეს. გლობალისტების ფლანგს რომლებიც ტყუილსა და ანგარებაში ცხოვრობენ, საკუთარ საზოგადოებასთან ისეთივე დაპირისპირება აქვთ, როგორც ჩვენთან უკროიბერებსა და ქართველებს. ასე, რომ ჩვენ, ტრადიციულ ამერიკელებთან, ფრანგებთან, რუსეთთანაც, უკრაინასთანაც ერთი ცივილიზაცია გვაერთიანებს. და აქვეა, მეორე — ორგანიზმის დაავადებული ნაწილი, რომელიც ან უნდა განვკურნოთ, ან მოვიკვეთოთ.

გლობალისტებმა ხელისუფლებაში მოიყვანეს ზელენსკი, ხოლო მანამდე, პოროშენკო, რომელსაც ბოლომდე მართავდნენ. როგორც ზემოთაც ვთქვი: მათ, ფაქტობრივად, ეს ქვეყანა იმისთვის იქირავეს, რომ მის ტერიტორიაზე ეს ბრძოლა გაეჩაღებინათ. იმიტომ, რომ ეს ბევრად უფრო იაფი ჯდება, ვიდრე პირდაპირ, ამერიკელი ჯარისკაცის პროცესებში ჩართვა. უკრაინელების ბრძოლა უფრო იაფია, ვიდრე ამერიკელების. რუსეთი ამ პროვოკაციას არ უნდა წამოგებოდა, ომში არ უნდა ჩაბმულიყო. მგონი, რუსეთშიც იგივე ძალები მოქმედებენ, რომელთაც ეს უკანასკნელი წააქეზეს. ამ შემთხვევაში, ორივეს — რუსეთსაც და უკრაინასაც უარყოფითად დავახასიათებდი, ოღონდ, მთავრობებს და არა ხალხს. ჩვენ, უბრალო რუს, უკრაინელ, ამერიკელ, ევროპელ ხალხთან გასაყოფი არაფერი გვაქვს — ერთი ღირებულებები და ცივილიზაცია გვაქვს.

**— რაც დღეს უკრაინას სჭირს, ჩვენ, 30 წლის წინ გამოვიარეთ. დავიჩემეთ ნატოში გვინდაო. რუსებმა კი იცოდნენ, რომ იქ, მიღებას არავინ გვიპირებდა, მაგრამ 2008 წელს საკუთარ თავს პროვოკაცია მოვუწყვეთ.**

— როგორ გგონიათ, ჩვენ თუ ვიცით, რომ ნატოში არ მიგვიღებენ, ეს რუსეთმა არ იცის? საერთოდ, რას ემსახურებოდა ამის კონსტიტუციაში ჩაწერა. ყველამ ვიცით, რომ ნატო არსად გვიღებს. საქართველოს ნატოში მიღება წარმოუდგენელია. ნონსესია ის, რაც ჩვენს კონსტიტუციაში ჩავწერეთ. საკუთარ თავს დავცინით თუ რა ხდება?! ეს, დაახლოებით, იცი რას ჰგავს? — სააკაშვილის რეჟიმის დროს რომ ამბობდნენ: ქურდს შეაგინე თორემ, ციხეში ჩაგსვამთო. თუ არ შეაგინებდი, ციხეში გსვამდნენ. რუსეთი გვეუბნება: ნატოს შეაგინე, თორემ... რეალურად, ეს თამაშია. გლობალურად, სულ სხვა რამ ხდება. ვიცით, რომ დაპირისპირება ყველა ერში შიგნითვე ხდება — გლობალისტურ და ტრადიციულ ადათს შორის. მე, ვითხოვ: ახალ ნორმალურობას და არა არანორმალურობის ნორმად დამკვიდრებას.

ჩემი აზრით, შიგნით რუსეთის სხეულშიც არსებობს გლობალისტების მიერ შეღწეული „მეხუთე კოლონა". წესით, რუსეთს ეს ომი არაფერში აწყობდა. მას თავის მოძმე ხალხთან, სიტუაცია უსისხლოდ უნდა მოეგვარებინა. ასევე, ომი არც ჩვენთან უნდა დაეწყო. განა, შეუძლებელი იყო საქართველოსთან მორიგება? განა, არ შეიძლებოდა ჩვენთან დაპირისპირების თავიდან აცილება? აღსანიშნავია, რომ რუსეთი, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, სამ მართლმადიდებლურ ქვეყანას ეომებოდე. სხვა არცერთ რესპუბლიკასთან, მას ომი არ ჰქონია — არც სასომხეთთან, არც აზერბაიჯანთან, არც უზბეკეთთან. ომი, მხოლოდ, მართლმადიდებლურ ქვეყნებთან აქვს. იმის ნაცვლად, რომ ყველაზე დიდმა მართლმადიდებლურმა ქვეყანამ მართლმადიდებლობა დაიცვას, რაც მისი ფუნქციაც არის, ამ ბოროტების შეჩერების მაგივრად, პირიქით, თავის ძმას ჰკლავს. ამაზე ხომ უნდა დავფიქრდეთ. შეიძლება, ცუდად ვიხუმრო, მაგრამ ვფიქრობ: რუსებმა ქართველებს კრემლი უნდა დაგვიბრუნონ, რუსებმა ქვეყნის მართვა არ იციან.

**— 30 წელია ერთიდაიგივე წრეს ვტკეპნით. გმირობა ჩავიდინეთ და 1989 წელს საქართველო ოკუპანტი რუსებისგან გავათავისუფლეთ, მაგრამ შედეგად რა მივიღეთ? მეზობელმა სახელმწიფოებმაც მიიღეს დამოუკიდებლობა, თანაც ისე რომ ტერიტორიები არ დაუკარგავთ.**

— საქმე ისაა, რომ სიღრმისეული სახელმწიფო უნდა არსებობდეს, რომელსაც გონი აქვს და უფრო პრაგმატულად იმოქმედებს. ჩვენ, ეს ვერ გამოვიმუშავეთ. ამის გაკეთება ადრე რომ ვერ მოვახერხეთ, ეს გასაკვირი არ არის, რადგან მაშინ საბჭოთა კავშირიც ქაოსში იყო. მაგრამ მერე, ხომ შეგვეძლო ჩვენს გარშემო არსებულ მდგომარეობაზე რაციონალური მიდგომა გვქონოდა. ალიევმა, ეს მოახერხა — ისე დაალაგა ქვეყნის სიტუაცია, რომ დემოგრაფიული ზრდაც მიიღო. აზერბაიჯანის მოსახლეობა, თითქმის, გაორმაგდა, ჩვენ კი, კატასტროფულად ვმცირდებით. მეორე მხრივ, მან სასომხეთის მიერ წართმეული ტერიტორიების ნაწილი დაიბრუნა. აქედან გამომდინარე, რაღაც ხომ უნდა ვისწავლოთ?! მაგალითად, ბოლომდე ამერიკის საელჩოს, კელი დეგნანის მარიონეტები ხომ არ უნდა ვიყოთ!

**— რას ნიშნავს სლოგანები — ამ ომში უკრაინა გაიმარჯვებს, რუსეთი დამარცხდება?**

— ჩემი აზრით, ორივე დამარცხებულია. უკრაინის აღდგენას, ალბათ, ათწლეულები დასჭირდება. რუსეთი დაინგრევა, იმ თვალსაზრისით, რომ მან ძმა მოკლა. ჯერ კიდევ არის დრო, ომი შეაჩერონ, რუსეთიც და უკრაინაც გონს მოეგონ და გაიაზრონ: რა თამაშში აღმოჩნდნენ ჩათრეულნი. ერთმანეთის სისხლში ამოსვრა, ორივე ერისთვის, უდიდესი მარცხია.

**— ვთქვათ, რუსეთის იმპერია დაინგრა. მერე, რა ხდება? ზოგს ჰქონია, რომ ამით საქართველოს ეშველება, ასეა?**

— იმპერიას რაღაც მისია უნდა ჰქონდეს და მაშინ მისი შენარჩუნება შესაძლებელია. ასეთი მოვლენების მერე დიდი შანსია ევროკავშირიც დაიშალოს. რას გვთავაზობს ეს ორგანიზაცია? — ტრადიციის უარყოფას, ახალ არანორმალურობას. ჩვენ, გვინდა ახალი ნორმალურობა. ასევე, რუსეთიც ახალს არაფერს გვთავაზობს. გარი კასპაროვმა თქვა: პუტინს უნდა მართოს როგორც სტალინი მართავდა და ცხოვრობდეს როგორც აბრამოვიჩიო. რას გვთავაზობს ან რუსეთი, ან ევროკავშირი?! მგონია, რომ ევროკავშირიც დაინგრევა და რუსეთიც და ახალი ნორმალურობა გაჩნდება, სადაც ყოფნა ყველას მოუნდება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# მოახდენს თუ არა გავლენას რუსეთ-უკრაინის ომი მსოფლიოს საომარ კონფლიქტებზე

13 გვ.

სერბეთის არჩევნების აკრძალვის ჩატარების შედეგად ვუჩიჩმა მოლაპარაკებების საბოლოოდ გაუქმების შესახებ განაცხადა. სერბეთის პრეზიდენტმა თქვა, რომ მათი მომავალი ნაბიჯი სერბეთის უსაფრთხოების საბჭოს სხდომის მონაწილე ყველა სამხედრო და პოლიციის მეთაურის გათავისუფლება იქნებოდა, რომლებმაც ბრიუსელის შეთანხმება დაარღვიეს. კოსოვოს მთავრობას ამაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

ვუჩიჩმა განაცხადა, რომ ყველაფერი კოსოვოს მოქმედმა პრემიერ-მინისტრმა ალბინ კურტმა გაანადგურა. მას კოსოვოს ყოფილი პრემიერი გორან რაკიჩიც დაეთანხმა, რომელმაც თქვა, რომ დი ალბათობა არსებობს იმისა, რომ კოსოვოს საკითხის გადაჭრა პრიშტინას მხრიდან ძალისმიერი მეთოდებით მოხდეს, რადგან სიტუაცია აქტიურ ფაზაში გადავიდა.

მათი აზრით, კოსოვოელი ალბანელები შეეცდებიან, ბელგრადიდან სამხედრო ძალები ჩართონ კოსოვოში მცხოვრები სერბების დასაცავად, რაც მათ აგრესორებად წარმოაჩენს და მოითხოვენ საერთაშორისო მშვიდობისმყოფელთა დახმარებას. კოსოვოს საკმარისი ჯარი არ ჰყავს სერბეთისგან განსხვავებით, რომელმაც მნიშვნელოვნად შეამცირა სამხედროთა რიცხვი, მაგრამ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მაინც სერიოზულ ძალას წარმოადგენს.

„პრიშტინას ხელისუფლება




კურტს არ უნდა კოსოვოში სერბების ყოფნა და ომისთვის ემზადება.

სერბების უფლებების დარღვევის შესახებ ცნობების გახმიანება წლის დასწყისიდან დაიწყო, როცა სერბეთის კონსტიტუციაში ცვლილებების შესახებ რეფერენდუმი უნდა ჩატარებულიყო. მარტში კურტმა კოსოვოს ტერიტორიაზე სერბეთის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება აკრძალა, რამაც სერბების მრავალრიცხოვანი პროტესტი გამოიწვია.

როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, კონფლიქტის აქტიურ ფაზაში გადასვლის ერთ-ერთი მიზეზი უკრაინაში რუსეთის სამხედრო ოპერაცია გახდა.

კოსოვოს პრემიერი ალბინ კურტი ევროკავშირსა და ნატოში თვითაღიარებული რესპუბლიკის შესვლას მოითხოვს. მისი თქმით, ეს კოსოვოელების, სერბების, რეგიონისთვის და მთლიანად კონტინენტისთვის იქნება კარგი. „ბალკანეთი არ არის დაზღვეული, რომ აქაც უკრაინის სიტუაცია არ განმეორდება, რადგან ჩვენს მეზობლად არის ქვეყანა, რომელმაც მხარი არ დაუჭირა ევროკავშირს და რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს არ შეუერთდა. ეს სერბეთია", — განაცხადა კურტმა.

ექსპერტების ვარაუდით, დიყველაფერს გააკეთებს სერბების გასადევნად. შესაბამისად, იქნება ბევრი პროვოკაცია კოსოვოელი ალბანელების მხრიდან. ეს ორი წლის წინათ დაიწყო, ბოლო თვეების განმავლობაში კი უფრო აქტიური გახდა. სიტუაციის ესკალაცია პრიშტინას მხრიდან იქნება და არა ბელგრადის", — აცხადებენ ბალკანისტები.

ნათელია, რომ კოსოვოს ხელმძღვანელობა ცდილობს, დაასაბუთოს ბრიუსელის შეთანხმებისა და სერბი მოსახლეობის უფლებების დარღვევა იმით, რომ სერბეთმა რუსეთის მხარე დაიკავა. სამწუხაროდ, ამას ნეგატიური როლი შეუძლია შეასრულოს სერბეთისთვის იმ შემთხვევაში, თუ კოსოვოელ ალბანელებს კოლექტიური დასავლეთი დაუჭერს მხარს.

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა გარკვეული გავლენა ყველა სხვა კონფლიქტზე მოახდინა, მაგრამ ამის გარდა კიდევ ბევრი სხვა ნიუანსი არსებობს რეგიონებში. ამიტომ ესკალაციაზე მოსკოვის გლობალურ გავლენაზე, საყოველთაო მილიტარიზაციასა და დესტაბილიზაციაზე ლაპარაკიც არ შეიძლება იყოს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც...

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

## ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐ

# ᲞᲝᲔᲖᲘᲐ



***

ვერაფერმა განაქარვოს
ხსოვნა გარდასულისა,
საიქიოც, სააქაოც
სუნთქვა არის სულისა.

თუ გგონიათ დამაბერონ
წუთისოფლის ვალებმა,
ან როდესმე დავიჯერო
სულის გარდაცვალება.

დაისებში ჟონავს სული
აისობის სიალით.
ხან მტრედივით გალურსული,
ხან ელჭექის გრიალით.

ანთებული უშრეტ ალად,
ბრძენთა გულის მლეველი.
ათასჯერი, ათასთვალი,
ქვეყნად დაუტეველი.

თვით სიქველეულეველი
უჩინარი მხლებელი,
მჭვრეტელთაგან უხილველი,
ხელით შეუხებელი.

დამავალთა ზეობაა
მდაბლის მაღლით მზეობა,
უქცეველი ზნეობაა
უტეხელი მეობა.

იდეალთა იდილია,
თავგანწირვის სიშიშვლე.
სამსხვერპლოზე სიკვდილია,
ღვთაებრივი სიგიჟე.

ჰა, საკანი დაუტევა,
აღმვსებია ყოვლისა.
ვიცი, ვერსით აღუდგება
ვერა ზღუდე-კედელი,
ოდეს ბოროტს განუდგება
ზუნდ-ბორკილთა მკვნეტელი.

### ᲘᲥ ᲗᲐᲕᲒᲐᲜᲬᲘᲠᲕᲐ ᲒᲐᲒᲘᲚᲔᲑᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲡ

არსთა გამრიგემ არ გაიმეტოს,
ვინც სამყაროთა თვალის ჩინია,
ადამიანო, შენდა იმედად
ღარადებს სიტყვა: „ნუ გეშინია“.

ზეცამ ძუძუდან არ მოგიკვეთა,
ყოველი არსი შენთვის ხმიანობს,
ვაგლახად სასო არ წარიკვეთო,
ვინძლო, სული არ დაიზიანო.

ფათერაკს მკერდით გადაუდექი,
მოძმეთ იმედი არ წარუხოცო,
ადამიანო, იყავ უდრეკი,
იყავ უშიში, ვითა უხორცო.

სტიქიონების ველურ თარეშში
სულის სიმტკიცე გმართებს მალული,
რადგან ვაჟკაცურ გზნების გარეშე,
არ არის ქვეყნას არც სიყვარული.

როცა წინასწარ თქმული ახდება,
როცა სამყარო ფაფარს აიშლის,
განსაცდელს მშვიდად თუ არ დახვდები,
როგორ იწოდო პირმშო ქარიშხლის.

ნაჭუჭის კაცად ნუ გადიქცევი,
თორემ დინება წაგლეკს, გაგრიყავს,
სტიქიის რისხვას თუ გაექცევი,
რაღას დააკლებ ცხოვრების გრიგალს.

უტეხის რწმენით შენ არ წაწყდები,
დააცხრობ ღელვას, დათრგუნავ ქარებს,
სად თანაგრძნობა ვერას გახდება,
იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს.

### ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

სული ნაკუწებად ნაკეპი
ჭმუნვის ულეველი მიზეზი,
ფიქრები — წამახული ჭანგები,
სახეზე აკრული გისოსი.
სისხლის ნაღვერდლებად დანალექი,
მზერაში მტაცებლები სახლობენ,
ცხადში გასიზმრებენ მედილეგეს,
ძილში გიცხადებენ ახლობლებს.
გეკვრიაბ ლორწოვან გველებად
კოშმარულ ხსოვნათა რკალები,
ნაბდათ აგისხია მკვლელობა,
გუდათ — საიქიო ვალები.
სახე მიტკლისებრ გაგხდომია,
ნაგვემი ლეკვივით ტანჯული,
ავი წინათგრძნობა აგხდომია,
სიკვდილის ცელს ლესენ მსაჯულნი.
არ დასჭირვებიათ დოსიე,
ისე, ვით მოკლულებს მკურნალი,
ერთს ცივი ბებუთი აყნიოსე,
მეორეს — ცხელი ტყვიის სურნელი.
ლოდინმა სული შეგიხუთა,
ფიქრობ, გადავრჩეო ეგების,
ღამეებს ზარავს შენი კუთვა,
შიშისგან უდროოდ ბერდები,
ან იქნებ გადარდებს მოკულულთა,
თალხით შემოსილი დედები.
სიცოცხლის ნასკვი გეწყევლება,
გეცლება იმედის ნასახი.
სიკვდილი, ვით გაურკვევლობა,
ტანში დალასლასებს ცახცახით,
ადრე განაგონი იგავად,
გზარავს სულთამბრძოლის ხავილით.
სჩანს შეუბრალებელ მთიბავად
და არა ცხოვრების ყვავილად,
ჟრჟოლვა სასიკვდილო ცივია,
სურვილით ვინ აღესრულება,
მაგრამ მის აჩრდილზე მძიმეა
შეხვედრა მოკლულთა სულებთან,
ზოგჯერ თევზივით დამუნჯებულს
უაზროდ გიშეშდება თვალები,
ღაწვნი ნაჟეჟივით გილურჯდება,
საწოლთან მიეთრევი წვალებით.
გსურს მიუსავლეთში გაქცევა,
გაცლა საკუთარი თავიდან,
აუხდენ ოცნებად გექცევა
ყველაფრის დაწყება თავიდან.
უდაბურ კუნძულზე გაგრიყავს
ზმანება, ღელვისგან დევნილი,
იქაც კი არავინ არა გყავს,
ბორგავ უთვისტომოდ შთენილი.
ელი ჩასაფრებული იქედნეს,
უმზეო ცით გადამეხილი,
გამწლეულ სხეულის ყრუ კედლებს,
აწყდები ცოფიან ვეფხივით.
თავი ჭაღარით გადიღება,
საკანის ბედკრულო მეინახევ,
შენს სასჯელს ჩემს თავზე ავიღებდი,
ოღონდ ამ ტანჯვაში არ მენახე.

### ᲡᲣᲚᲝ, ᲓᲐᲘᲪᲐ...

საით მიილტვი, სულო, დაიცა,
სულო, მბორგავო, შესდექ!
ცხრა კართაგენი თუნდაც დაეცეს,
უნდა ელოდე შემდეგს.

სულო, გასდიე სალი კლდის არწივს,
ლაჟვარდში შვება იცან,
ვარსკვლავთა წალკოტს ოცნებით ასწვდი
და ემბორე მიწას.

აუწყვეტია კლდეთით პრომეთეს,
დამცხრალა მთებში ზვავი,
ადევნებიხარ ცაში კომეტებს,
ზევსთან შეკრული ზავით.

სჭვრეტ მეუფებას ოქროს ტახტიანს,
მნათობთა ბადეს გაშლილს,
განგებას შენთვის დაურახტია
ცეცხლის მფრქვეველი რაში.

ჰა, გარიჟრაჟმა ცეცხლი დაგინთო,
აღდგომა კვირის დამდეგს,
ხამს სინანულის ზღვაში ჩაყვინთო,
მოკვდი და მკვდრეთით აღდექ!

რა უკვდავების ქნარით გვიგალობ,
ეს რა სამკვიდრო გერგო,
ბოროტებასთან შეურიგალი,
მარადირობის ნერგო.

სად მიისწრაფი, სულო, დაიცა,
სულო, მბორგავო, შესდექ,
წმინდა ლაჟვარდიც უნდა გაიცრას,
რომ მიემთხვიოს ედემს.

### ᲡᲤᲘᲜᲥᲡᲘ

უდაბნოს გვამში დგება ცისკარი,
როს დისკო მზისა ტანზე სისხლს იშრობს,
უდაბნო სუნთქავს და ამღვრევს ქარი,
მზესთან ატყორცნილ მეწამულ ქვიშრობს.

რომ დაიმონოს სული პოეტის,
ელვა ხუნდებით ვინ ასაპყარა,
შენში სდუღს ხვატი უდაბნოეთის,
გარსის გამრღვევი სულის კამარა

და შენ დარჩები სულის ამარა,
სულთა მხილველი თალხი ღრუბელი,
ვინ აამხედროს ქვეყნად ავდარი,
შენთა სწრაფვათა გადამბუგველი.
გადაიხსნება ზეცის თავანი,
იდუმალ სიტყვის მაღალმშვენებით,
გადაევლები ოდეს სამანებს,
მოგვის არტახში ჩაკრული ვნებით.

აიზიდება მზედ ლომის ტანი,
არწივის მხრებით შეჰკრავს ირაოს,
ელვას გასტყორცნის ცის გალავანი,
რომ სკნელთა ფსკერი ააყირავოს.

ხილვას დაგანძავს თვალთ მონაგარი
და გულთა სმენას წვდომა განსჯისა,
ყოველი არსი სად მონა არი,
უზეშთაესის მფეთქავ მაჯისა.

და ნუ დაჰკარგავ შენ იმ ტატნობებს,
სადაც ლაჟვარდებს ეტრფის არწივი,
მან, სიბრძნის წყარომ ერთმა გაცნობოს
შენი წილხვედრი, შენი არჩივი.

და ოდეს ვნებას ოკეანეთა,
გარდაჰქმნი პირმშოდ შენივ ნებისა,
სულში ჩადგება სულ სხვა პლანეტა,
სხვა სიბრძნე სფინქსის ქარაგმებისა.

***

შავი ჯოჯოხეთის კუპრი ხართ ნახადი,
თხემიდან ტერფამდე ხართ
სინდისახდილი,
გინდათ, რომ სიწმინმდეს ნამუსი ახადოთ,
მაგრამ შურისგების გაგტეხავთ მახვილი,
მოდგმად ადამიტურს ჩაზრდიხართ
მარწუხად,
გინდათ, რომ უკუსვლით ვიდოდეს
სამყარო,
გსურთმ, რომ დედამიწა,
როგორც ღორმა მუხა,
დედაბუდიანად გეზიდან ათხაროთ.
ეს რა ხვაშიადი ჩაითქვეს ერებმა,
უსისხლოდ გამართეს კაცთა სასაკლაო,
ბოროტს მიეყიდნენ და მეცნიერება
თავად დედამიწის ხდება მესაფლავე.
გონება ეფლობა სიბილწის სკორეში,
ირყვნება ბალღი, ჯერაც უწიფარი,
ისე გადაეშვნენ სოდომის მორევში,
ურცხვი ეროსიც კი
თვალზე ხელს იფარებს.
ოდესღაც ჰყვაოდა რწმენის მისტერია,
ჰყვაოდა ბუნებაც, ციერთა ნასახი,
იცოდნენ, ფუტკარი მეუფის მწერია,
რომ თავად ქრისტე არის ვენახი.
დღეს მოწამლულია თაფლი და ღვინო,
ვერ ნახავ ორაგულს არაგვის ტალღებში,
გეენის ქეძაფმა როდემდე იდინოს,
როდემდე გასტანს გრძნობათა სიუხეში
და ამგვარ ყოფას ვინაც იგუებს
და აღარ აშფოთებს სასტიკი პრესი,
სიმტკიცეს წარუღებს აშკარა სიცრუე,
შხამი და ბალღამი გამყიდველ პრესსის,
ჰა, მოიპარება ზვრებში მორიელი,
საიდან ინთხევა ესოდენ გესლი,
ვაჰ, თუ ჩაირაზა გზები სულიერი,
ვაჰ, თუ გაიწირა ადამის თესლი,
შავი გეენის კუპრი ხართ ნახადი,
თხემიდან ტერფამდე ხართ ნამუსახდილი,
გინდათ, რომ სიწმინდეს ნამუსი ახადოთ,
მაგრამ შურისგების გაგტეხავთ მახვილი.
ძალა არნახული გაგსრისავთ იქავე
უკვე შეისმინეს ხმა იგი ვედრების,
კუშტად გადმოსცქერის სამყაროს მიქაელ,
არქისტრატეგოსი ზეციურ მხედრების.

# უმადურობის სინდრომი

## კაცო, მიქელ-გაბრიელი რომ მოგადგა ცელით და ბიძინა ივანიშვილმა უკან გაგიბრუნა, რა ნამუსით აგინებ, არ გრცხვენია?!



შემთხვევით ვუყურე, ტელევიზორში მამუკა ჩარკვიანი ლაპარაკობდა... თავიდან კარგად დაიწყო, ბიძინა ივანიშვილმა სიკვდილისგან მიხსნაო, გადამარჩინაო, მადლობაო, ადამიანი უმადური არ უნდა იყოო.

მესიამოვნა. ვიფიქრე, აგერ, ერთი ადამიანი მაინც გამოჩნდა, რომელიც მადლიერია-მეთქი.

თუმცაო, განაგრძო იგივე მამუკამ, მადლობას რომ ვუხდი, ეს იმას არ ნიშნავს, სულ იქ უნდა იჯდეს, ცოტა აზრზე მოვიდესო. ეს რანაირი მადლობაა?!

პირზე კატა მეცა, ადამიანი იძახის, გადამარჩინაო, სიკვდილს გამოსტაცა ჩემი თავი ხელიდან, მაგრამ უნდა წავიდესო.

და ეს თქვა მკაცრად, ძახილის ნიშნით, მბრძანებლური ტონით, გადაჭრით, არავითარი დათმობა არ იქნებაო.





გული დამწყდა, ყურებს ვერ დავუჯერე, სამჯერ მოვუსმინე, სამჯერ გადავამოწმე, კი ამბობს მამუკა ჩარკვიანი, ადამიანი უმადური არ უნდა იყოო, მაგრამ თვითონვე გახლავთ უმადურობის კლასიკური ნიმუში!

ვზივარ ახლა და საკუთარ თავს ვეკითხები, ნეტავ მაშინ თუ იყო ბიძინა ივანიშვილი აზრზე, როცა ამას მამა და ოჯახი გადაურჩინა? ნუთუ ვერც მაშინ მოვიდა აზრზე, როცა თვითონ უცხოელ ექიმებთან გააგზავნა და დიდძალი ფული გადაუხადა?!

განა რა ვალი აქვს ივანიშვილს ამისთანა ამ ოჯახისა, რომ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული იხდის და ვეღარ გადაიხადა?!

მამაჩემმა ბიძინას დაურეკაო... უთხრეს, ცოტა ხანში გადმორეკეთ, დაკავებულიაო. ამან - ცოტა ხანში მამუკა აღარ იქნებაო. იმან, რამდენია საჭიროო? რამდენიც იყო საჭირო, ეგრევე კლინიკაში გადარიცხაო.

მერე? მერე არაფერი, ტიპი იძახის, ეგ კაცი, მე რომ სიცოცხლე მაჩუქა, აზრზე მოვიდეს, თორემ დავამხობთო!

ამათ ერთი უკვე დაამხეს 1991 დეკემბერში. ახლა იძახიან, ის ჩვენი შინაური იყო, ოჯახებით ვმეგობრობდით, კარგი ურთიერთობა გვქონდა, მტრებმა შეგვიყვანეს შეცდომაში, კოკო გამსახურდიას ველაპარაკეთ და ყველაფერი გავარკვიეთო. დიახ, კაცი გაწირეს და 32 წლის შემდეგ ყველაფერი კოკოსთან გაარკვიეს. ჰმ... ეს დიდი შეღავათია ზვიად გამსახურდიასთვის!

ცრუობენ!

მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდიამ ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსები გაარჩია და პლაგიატობაში დაადანაშაულა, ნორმალური ურთიერთობა აღარ ჰქონიათ. ესეც რომ არ ყოფილიყო, ჯანსუღი მაინც ედუარდ შევარდნაძის მხარეს დადგებოდა, მას ერთგულ მეგობრად თვლიდა. ასეა თუ ისე, ვთქვი და ვიმეორებ: ერთი გაწირეს, არ დაინდეს, ახლა მეორის გაწირვის სურვილი აქვთ. პირველ გაწირულს არაფერი გაუღია ამათთვის, გაწირეს და მის ადგილზე რომ მოვიდა, იმისგან მიიღეს. აი, ვისაც ემუქრებიან, ამისგან ყველაფერი აქვთ მიღებული, სიცოცხლეც კი. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ბიძინა ივანიშვილი ყოველთვიურად 5 ათას ლარს უხდიდა. მე და ჯანსუღს კარგი ურთიერთობა გვქონდა, ის ყოველთვის მადლიერი იყო, აუგს ვერ დააცდენინებდი. როგორც კი გარდაიცვალა და ივანიშვილის მეცადინეობით მთაწმინდაზე ასასვენეს, შვილებმა ეგრევე აუშვეს აფრები. მიზეზი ორია: პირველი - თაკო ჩარკვიანი არ დანიშნეს ჯერ კულტურის მინისტრის მოადგილედ, შემდეგ კი კულტურის მინისტრად; მეორე - ის თანხა, რომელსაც ივანიშვილი სტიპენდიის სახით აძლევდა ჯანსუღ ჩარკვიანს, არ დაუტოვა ოჯახის რომელიმე წევრს. როგორც ამბობენ, თაკომ სთხოვა და უარი მიიღო. შემდეგ მოხდა ის, რასაც დღეს ვუყურებთ: ბატონი ბიძინა რუსი ოლიგარქია, რომელიც აზრზე უნდა მოვიდეს. თუ არ მოვა, მოიყვანენ ჩარკვიანები და მათნაირები, ის მუდმივად ვერ იჯდება იქ, სადაც ზის, უნდა ჩამოვიდეს, ძალაუფლება დათმოს!

საინტერესოა, სად ზის, საიდან უნდა ჩამოვიდეს ბიძინა ივანიშვილი? მას არანაირი ოფიციალური თანამდებობა არ უკავია, არც პარტიის თავმჯდომარეა, არც პოლიტიკოსი, არც მრჩეველი, არც კონსულტანტი, კაცი წავიდა სახლში და რაღაცებს აშენებს, თავის ამპლუაშია, პოლიტიკაში საერთოდ აღარ ერევა. ესენი, სიცოცხლე რომ შეუნარჩუნა, ჯინაზე არიან, ქვეყანას რუსი ოლიგარქი მართავს, საქართველო იღუპება, აზრზე მოვიდეს, თორემაოოოოოოო!!!

და რა... ასეც რომ არ იყოს, ივანიშვილი პოლიტიკაში ისევ რომ ერეოდეს, ვინ ჰკითხავს ამ ჩარკვიანებს, ის რას იზამს და რას გააკეთებს?!

ვისაც არ სიამოვნებს, ცივი წყალი დალიოს და ბატონ ბიძინას გაშენებულ ბაღნარში გაისეირნოს, ამ ადამიანმა შექმნა ეპოქა არა მხოლოდ პოლიტიკური, სოციალურიც, საგანმანათლებლოც, კულტურულიც, რელიგიურიც და ისტორიულიც. ის გახლავთ უდიდესი ქველმოქმედი, ჩვენ ერთი ქველმოქმედი გვყავდა, დავით სარაჯიშვილი, რომლის ღვაწლი ამ ადამიანის ღვაწლთან შედარებით ძალზედ მცირეა. ეს არის სიმართლე, ამდენი საკუთარი ქვეყნისთვის არავის გაუკეთებია. ახლა გამოდის ეს სიციცხლეშენარჩუნებული მამუკა ჩარკვიანი და იძახის, ივანიშვილი იქ არ უნდა იჯდეს, სადაც ზისო. ვითომ რატომაო? ან კი რა ამისი გადასაწყვეტია, ვინ სად იჯდება?!

ამდენი ვთქვი და ბარემ ბოლომდე ვიტყვი... ამას, ამ მამუკას მილიონერი სიძე ჰყავს. დიახ, ჯონი გიგანზე მოგახსენებთ. მას რა ქონება გააჩნია და რა „მაყუთს“ ატრიალებს, არ მაინტერესებს, მე მხოლოდ იმას ვამბობ რეპლიკის სახით, რატომ დაურეკა ჯანსუღმა გაჭირვების ჟამს ბიძინა ივანიშვილს და არა თავის სიძეს? მე ხშირად მინახავს გამწარებული ჯანსუღი, მამუკაზე იყო გულდაწყვეტილი - როცა ვკითხავდი, როგორაა-მეთქი, ხელს ჩაიქნევდა და ამოიოხრებდა ხოლმე. რასაკვირველია, ასეთ ყოფაში ჩავარდნილი შვილის მდგომარეობას ძალიან განიცდიდა და პირადად მამუკას მიმართ დიდი თანაგრძნობით ვიყავი გამსჭვალული. ნახეთ, წამომცდა, ვიყავი-მეთქი... ეს სიმართლეა, მე ასეთი ხასიათი მაქვს, უმადურ ადამიანს ვერ ვუგულშემატკივრებ!

●

იცით... მე არ მინდა, მგლების თავზე „სახარება“ ვიკითხო, აზრიც არ აქვს. ამჯერად ჩემი მიზანია იმ ღირებულების გადარჩენა, რასაც მადლიერება ჰქვია. მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, რა არის მადლი, ქვაზე რომ დადებ და მერე წინ დაგხვდება. ჩემმა და თქვენმა შვილებმა უნდა იცოდნენ, რას ნიშნავს გადარჩენა და გადამრჩენი, რას ნიშნავს მხარში დგომა, მეგობრობა და ურთიერთობა.

რაკი ივანიშვილმა გადამარჩინა, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სულ ზემოთ უნდა იჯდესო?!

თქვენი არ ვიცი, მე კი ასეთი მიდგომა მაცოფებს. ამნაირი ადამიანი ერთი ვიცოდი - ე.წ. პოლიტიკოსი დავით ზურაბიშვილი - ესეც გადაარჩინა, გერმანიაში გაუშვა, დააფინანსა, ოპერაციები უკეთა, უმკურნალა, ვალები დაუფარა, როგორც ამბობენ, სულ 300 ათასი დოლარი დაახარჯა, მაგრამ გამოეწერა თუ არა კლინიკიდან, ეგრევე დაიწყო ბიძინა ივანიშვილის ლანძღვა - ერთია დახმარება, მეორეა პოლიტიკა, რაკი ტიპმა სიცოცხლე მაჩუქა, აღარ უნდა ვაკრიტიკოო? გეფიცებით, თუ რამეს ვამატებდე ან ვიგონებდე, საკუთარი ყურით მაქვს მოსმენილი!

ხან მეცინება, ხან მეტირება!

კაცო (თუ კაცი გქვია!), მიქელგაბრიელი რომ მოგადგა ცელით და ამან, ამ ბიძინა ივანიშვილმა უკან გაგიბრუნა, რა ნამუსით აგინებ, არ გრცხვენია? სინდისი რა უყავ? საკუთარ შვილებს რას ასწავლი, ადამიანმა გადამარჩინა და ჩემ გადამრჩენელს დედას ვაგინებო?!

ერთი ვიცი, გვარს არ ვიტყვი, მიხვდებით, სააკაშვილმა ციხეში ჩასვა, აწამა, ძვლებში გადაამტვრია, ივანიშვილი მოვიდა, გამოუშვა, დაელაპარაკა, უმკურნალა, თუ რამე დაგჭირდეს, არ მოგერიდოსო. ეს ძვლებში გადამტვრეული ტელევიზორში გამოვიდა, მადლობაო, ამას არასდროს დავივიწყებო. რამდენიმე თვეში შეუბრუნდა, იმანაც თავის გადამრჩენელს დაუწყო ლანძღვა, შე ხიხოო!

ვეღარ მოვითმინე, ამ გაზეთში დავწერე, ზოგიერთი მაგარი უნამუსოა-მეთქი. მაშინ გვარიც დავწერე, სახელიც. გაბრაზდა, გადაირია, შე ხიხოს ლაქიავო! ბიჭო, გაჩერდი, ეგრე არ შეიძლება, უფლისა მაინც გეშინოდეს-მეთქი. შენც ჩათლახი ხარ და ბიძინაცო! მოკლედ, მაგრადა მლანძღა, ივანიშვილს ხომ მისდგა და მისდგა, უნდა დავამხოო. ის ადამიანი ახლა საწოლზეა მიჯაჭვული, დანაშაულის მსხვერპლია, არამზადებმა არ დაინდეს და... იცით? ისევ ბიძინა ივანიშვილი პატრონობს!

ამან ყველაფერი გაუკეთა, ჯერ აქ უმკურნალა, მერე თურქეთში წაიყვანა, მერე გერმანიაში გადაიყვანა, ისევ საქართველოში დააბრუნა და ყურადღებას არ აკლებს. ღმერთმა გამოაჯანმრთელოს, როცა ცნობიერება დაუბრუნდება, ალბათ ოჯახის წევრები ეტყვიან, ვინ გადაარჩინა და იმედია, ისევ ხიხოს არ დაუძახებს. შეიძლება დაუძახოს კიდევაც, ირგვლივ ისეთი რაღაცები ხდება, არც ეგ გამიკვირდება!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

„საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge

რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99